140/
1964/2

ЗОЛОТОЙ ЕГОЛ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებამახვილთა ტურნირი.

„ცოდნის გარეშე არ არის კომუნიზმი“.

მშვიდობის პიონერული მარში.

„დაე, მუდამ იყოს მზე!“

საბრძოლო დიდების ლაშქრობა.

„ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ფითელი ყელსახვევი ერთმანეთის მხარდამხარ“.

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიმართვა

ნორჩო ლენინელებო!

1967 წელს სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი. თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც დედამიწაზე ამაყად ფრიალებს ოქტომბრის ალისფერი დროშა. ამ დროშის ქვეშ დარაზმული ამარცხებდა ჩვენი ხალხი მტერს, აშენებდა ახალ ქალაქებსა და ქარხნებს, გეხდა ყამირს. ოქტომბრის ნითელი დროშით საბჭოთა ადამიანმა, მსოფლიოში პირველმა, დაიკყრო კოსმოსი, ააგო მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური და ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“. ლენინის დროშით აშენებს ჩვენი ხალხი დღეს კომუნიზმს.

დიადია და მშვენიერი საყვარელი სამშობლო! და, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ და შრომობდნენ საბჭოთა ადამიანები—მკაცრ იმიერკოლარეთსა თუ მშიერ ველებზე, ბობოქარ ამურზე თუ ჭალარა ურალში—ისინი ყველგან გულით აზარებენ, ყველგან ხედავენ ოქტომბრის ვარსკვლავების შქრობ ალაშქაშს.

ეს ვარსკვლავები სამარადისოდ დაანთეს მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და უკვდავმა ლენინმა. ლენინური ვარსკვლავები ჩვენი გამარჯვების სიმბოლოდ ანთია ყველგან: გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობებზე, კოლარელთა სადგურებზე, შახტებსა და ბრძოლებზე, ჩვენი ქვეყნის ყველაზე საუკეთესო სკოლებზე.

დღეს შენ პიონერი ხარ და მთელ ხალხთან ერთად ემზადები საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის შესახვედრად. ეს კი ნიშნავს: ყოველდღიურად ყოველ პიონერულ რაზმეულში ახალ საქმეებს საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მოვუწოდებთ ქვეყნის ყველა ნორჩ პიონერს, ჩაებას პიონერული რაზმეულების ლენინურ დათვალიერებაში. ამ დათვალიერების პირველი წელი მიძღვნილია ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი. ლენინური დათვალიერების წელს ცხადდება—შრომის ლენინური ვახტი, საბრძოლო დიდების ლაშქრობა, მშვიდობის პიონერული მარში, ექსპედიცია „ლენინური ანდერძის კვალდაკვალ“, „გონებამახვილთა ტურნირი“, შეურიგებელთა რეიდი, ხუთი რგოლის მცირე ოლიმპიადა.

ლენინური დათვალიერების პირველ წელს სტარტი მიეცა 2 ოქტომბერს, კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინის გამოსვლის დღეს. ფინიშია 1965 წლის 19 მაისს, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს.

საბჭოების ქვეყნის პიონერია! საკავშირო ლენინური დათვალიერების სტარტზე—მოეწყვე!

საზეიმო სტარტის უფლება ენიჭებათ ქვეყნის ყველაზე საუკეთესო რაზმეულებს.

დაე, პიონერული საქმეები გადაიქცეს ჩვენი ხალხის დიად საქმეთა ნაწილად, იმ ხალხისა, რომელიც ლენინის ანდერძის მიხედვით აშენებს კომუნიზმს.

თქვენი უფროსი მეგობრები, კომუნისტები და კომკავშირელები გისურვებენ, ნორჩო პიონერებო, დიდ წარმატებებს. ისინი დაეხმარებიან კეთილი რჩევით, გასწავლიან მტკიცე მეგობრობას, შთაგონებულ შრომას, ცოდნის დაუფლებას.

აკაშკაშეთ თქვენს სკოლებზე ილიჩის ნითელი ვარსკვლავები!

კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

შეურიგებელთა რეიდი.

„იყავი ძერწინსკიცვით პატიოსანი და მამაცი, სამშობლოს ერთგულება საქმით დაამტკიცე“

ხუთი რგოლის მცირე ოლიმპიადა.

„შენც შეგიძლია გახდე ოლიმპიელი“.

ექსპედიცია «ლენინის ანდერძის კვალდაკვალ.»

„მიჰიდრო რიგებით, ფინ—ლენინური გზით“.

შრომის ლენინური ვახტი.

„კომუნიზმის აშენება შეიძლება მილიონთა შრომით, შრომით და მხოლოდ შრომით“.

ვ. მ. კომაროვი

კ. პ. ფეოკტისტოვი

ბ. ბ. ეგოროვი

პიონერული სალამი თქვენ, სამყაროს ახალი გმირებო!

1964 წლის 12 ოქტომბერს კოსმოსში გაშვებულ იქნა მრავალადგილიანი კოსმოსური ხომალდი «აისი», რომელსაც პილოტობდნენ: ხომალდის მეთაური, კოსმონავტი მფრინავი ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმერ მიხეილის ძე **კომაროვი**, ეკიპაჟის წევრები: მეცნიერი თანამშრომელი კოსმონავტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კონსტანტინე პეტრეს ძე **ფეოკტისტოვი**, ექიმი კოსმონავტი ბორის ბორისის ძე **ეგოროვი**.

მეცნიერმა მკვლევარებმა პირველად უშუალოდ განახორციელეს კოსმოსური სივრცის დაკვირვება და შესწავლა.

მეორე დღეს, 13 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც წარმატებით დამთავრდა მეცნიერული კვლევითი პროგრამა, ხომალდი «აისი» მშვიდობით დაეშვა დედამიწაზე.

მრავალადგილიანი ხომალდის გაშვებით—დაიწყო ახალი ეტაპი კოსმოსის ათვისებაში.

19 ოქტომბერს სამშობლომ წითელ მოედანზე ღირსეული შეხვედრა მოუწყო თავის სახელოვან შვილებს— მამაც კოსმონავტებს.

სამივე კოსმონავტს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირისა და აგრეთვე «სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის» წოდება.

წიგნი და ნაჯახი

როდიონ ქორქია

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

ორმეტი წლის ბიჭი—სანდრო სოფლის სამრევლო სკოლაში სწავლობდა. ძალიან ნიჭიერი იყო. საოცარი მეხსიერება ჰქონდა,—ლექსს ერთი წაკითხვით, ხოლო პატარა მოთხრობებს ორი-სამი წაკითხვით იმახსოვრებდა. ზეპირად ჰყოფდა და ამრავლებდა სამნიშნა რიცხვებს. უამრავი გამოცანა, ანდაზა და ლექსი იცოდა. თვითონაც წერდა ლექსებს, ფიზიკურადაც ძალიან ღონიერი იყო. მასწავლებელი ხშირად იტყოდა: ამ ბავშვს პატრონი რომ ჰყავდეს, დიდი კაცი გამოვაო.

სანდრო მამით ობოლი იყო და დედამ ვერ შესძლო ბავშვის შეყვანა სასწავლებელში. დაამთავრა სანდრომ სოფლის სკოლა და დარჩა სოფელში. სწავლის წყურვილი კი დიდი ჰქონდა. მე მინახავს ის დაღონებული, უიმედოდ ჩაფიქრებული.

გამოსავალი არ იყო. და აი, რა მოიფიქრა ბავშვმა.

სწორედ იმ წელს, სანდრომ რომ სკოლა დაამთავრა, პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. ჩქარა ოსმალეთიც ჩაერია ომში. კავკასიის ფრონტის საჭიროებისათვის სოფელში ტყის დამუშავება დაიწყეს. სანდრო მუშად დადგა ხე-ტყის მწარმოებელთან.

დედას ასე უთხრა სანდრომ:

— ფულს შევაგროვებ და ქალაქის სკოლაში შევალ.

ომის შემდეგ რუსეთიდან რომ დაბრუნდი, იმ ნიჭიერი ბიჭის ამბავი ვიკითხე. თურმე ტყეში გაცივებულიყო და გარდაცვლილიყო. ეს რომ გავიგე, თვალებიდან ცრემლი წამომცვივდა. დედამისთან მივედი. აბა, რას ვეტყოდი, რით ვანუგეშებდი... დედამ ბიჭის რვეული მომცა: აქ წერია მისი უბედურებაო.

მთელი რვეული ფანქრით იყო დაწერილი. რვეულში ლექსები და შიგა და შიგ დღიურივით ჩანაწერები იყო. მახსოვს ერთი ჩანაწერი, რომელსაც სახელად ერქვა „ნატვრა“. აი, ისიც:

„ნეტავი ისეთი დრო დადგებოდეს, რომ ყველა ბავშვი ივლიდეს სკოლაში! ნეტავი ისეთი დრო დადგებოდეს, რომ ნაჯახის ნაცვლად ყველა ბიჭს წიგნი ეჭიროს ხელში...“

მეორე ჩანაწერიც მახსოვს:

„ახლა, როცა ამ ლექსს ვწერ, გაცივებული ვარ. ვწევარ ტყეში, ფაცხაში. ჰქრის ცივი ქარი და მტკივა თავი. მაგრამ ისევ უნდა ავიღო ნაჯახი და ვჩეხო. ვაი, დედაჩემო!..“

მას შემდეგ, რაც ეს რვეული წავიკითხე, 50 წელი გავიდა. რა უკუღმართი დრო იყო! ყველა ღარიბი და გაჭირვებული ნაჯახით მიიკვლევდა თავის გზას ცხოვრებაში, და ჯერ კიდევ შორს იყო ოქტომბრის რევოლუცია.

ნაჯახით მიიკვლევდა გზას სანდროც და... წაიქცა...

თქვენ, ვისაც ოქტომბრის რევოლუციამ ნაჯახის ნაცვლად წიგნი მოგცათ ხელში, გახსოვდეთ ის პატარა ბიჭი, უბედური სანდრო!..

ჩემი ხელოვნების ფასი

1908 წელს ფოთში ამუშავდა საპნის ქარხანა. ზაფხულის არდადეგებზე მე იმ ქარხანაში მუშად დავდექი, —მინდოდა სახელმძღვანელოების ფული მეშოვნა. 14 წლისა ვიყავი, ამიტომ დღეში 30 კაპიკს მაძლევდნენ, მოზრდილ მუშებს კი ერთ მანეთს უხდიდნენ.

ყუთებში ჩასხმული საპნის გასაციებლად, ვედროებით წყალს ვეზიდებოდი, დაჭრილ საპონს ფიცრებზე ვალაგებდი და იატაკს ხშირად ვწმენდდი, —აი, რა იყო ჩემი სამუშაო.

პირველ კვირას ძალიან გამიჭირდა მუშაობა, ძვალი ცალკე მქონდა და რბილი ცალკე; მერე შევეჩვიე და ხალისიანად ვმუშაობდი.

საპნის დასამზადებლად საჭირო იყო ისეთი ქიმიური ხსნარები, რომელთაც მწვავე სუნი ასდიოდათ და ხველებას იწვევდა. იყო ერთი თეთრი ქიმიკატი, რომელსაც „კაუსტიკს“ ვეძახდით. ეს ხსნარი მეტად მწვავე იყო, ერთი წვეთიც რომ დაგცემოდა ხელზე, სულ ვაი-დედას გაძახებინებდა; ერთხელ, ერთ ულვაშიან მუშას დაეწვეთა და ბავშვივით აღრიალდა საწყალი. მეც ბევრჯერ ავუტირებივარ იმ ოხერს... დამწვარზე ცივ ტილოს დავიდებდით და მოშუშდებოდა ხოლმე. ეს „კაუსტიკი“ ტანისამოსს ან ფეხსაცმელს თუ დაეწვეთებოდა, იმ წუთში გამოწვავდა. ამიტომ, ვცდილობდი ფეხსაცმელზე, ხალათსა და შარვალზე არ დამწვეთებოდა. ხელებს კი... აბა, ხელებს როგორ დავმალავდი, ხელებით ხომ ვმუშაობდი!

ერთხელ, „კაუსტიკით“ სავსე ჭურჭელი უნდა დაყირავებულიყო, მივვარდი და ხელით შევაკავე. მუშები მოცვივდნენ .და ფეხზე დააყენეს. მე სითხე დამეშხეფა და ხელი დამეწვა.

— რატომ ფეხით არ გააჩერე?—მკითხა ოსტატმა.

— წუღებს დამიწვავდა, ბატონო-მეთქი, —ვუპასუხე.

მართალიაო,—დამიდასტურა ოსტატმა.

ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თითქოს მტკივა თითები. მაგრამ მაშინ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი; ჩემი წუღები ღირდა ოთხი აბაზი, ხოლო ჩემი ხელები რა ღირდა? —ექვსი შაური!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეუვიდოჯით, ჩაჯეეუკო

ცვლილებები, როგორღაც, ერთბაშად დაეტყოთ, — გულისყური მოემატათ, ფიქრმა გაიღვიძა, გონება მოღონიერდა. უფრო შორს გაიხედეს, უფრო მაღალი მწვერვალები დაინახეს. ასასვლელ გზებს დაუწყეს სინჯვა. განსჯის უნარი გაუჩნდათ, კრიტიკული თვალი აეხილათ. გატაცებით ეწაფებიან ცოდნას; მღელვარედ განიცდიან გზის თითოეული მონაკვეთის გავლას, თითოეული საფეხურით ამაღლებას.

ახლა ისინი იხსნიან პიონერის ალისფერ ყელსახვევს, კითხულობენ ლენინური კომკავშირის წესდებას, ოცნებობენ უფრო ლამაზ, შინაარსიან დღეებზე, საგანგებოდ შოულობენ ქათქათა, პრიალა ქაღალდს და ფაქიზი ხელით წერენ განცხადებას. კომკავშირის კომიტეტში შეტანილი განცხადებები, ჩვეულებრივ, მოკლეა და თითქმის ერთმანეთის მსგავსი; მათში, რასაკვირველია, არ ჩანს, რომ ავტორები სულ სხვადასხვა გატაცებებისა და ხასიათების ადამიანები არიან.

თბილისის რამდენსამე სკოლაში შევიარეთ, ზოგიერთი განმცხადებელი ვნახეთ კიდეც და, სურვილი დაგვებადა მოგვეთხრო მათზე, — როგორ სწავლობენ და შრომობენ, როგორ იბრძვიან თავიანთ ოცნებათა ასახდენად. თუ მათ ახლო გაიცნობთ, დაინახავთ ჩვენს ხვალინდელ ადამიანებს, ჩვენს ხვალინდელ დღეს.

ჯერჯერობით თითქმის არავინ იცნობს მადონა წურწუმიას, თავის თანაკლასელთა და ახლობელთა გარდა. მართალია, იგი ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო დადგმაში მთავარ როლს — მოწინავე პიონერს განასახიერებდა, მაგრამ ამ ერთი გამოჩენით ძნელად თუ ვინმეს დაახსომდებოდა მისი სახელი და გვარი.

ეს როლი დიდად როდია დაშორებული სინამდვილეს. მადონა წურწუმია უკანასკნელი ორი წელი რაზმის საბჭოს თავმჯდომარეობდა. მისმა რაზმმა სახელი გაითქვა. მარტო შარშანდელი საქმეების ჩამოთვლაც კმარა: მხატვრები მოიწვიეს და სურათების გამოფენა დაახვედრეს, ძალზე ლამაზი საღამოც გაუმართეს ოქტომბრელების მონაწილეობით, გაეცნენ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებს, მოაწყეს ლენინის კუთხე, შეადგინეს ალბომი თბილისზე, ჩაატარეს რაზმის სამახსოვრო შეკრება: თითოეულმა რაზმელმა ფურცელზე აღნუსხა საკუთარი უარყოფითი მხარეები და მერე ნაწერი შუა ეზოში აბრიალებულ ცეცხლში გადაუძახა. „პიონერულ კოცონზე ვწვავთ ჩვენს ნაკლოვანებებს!“ — განაცხადა რაზმმა. ამის შემდეგ ყველა ცდილობდა უფრო ბეჯითად ესწავლა; მართლაც, რაზმის ყველა წევრი გადავიდა შემდგომ კლასში.

მადონამ ამას წინათ საქალაქო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა მხატვრულ კითხვაში. ამხანაგებმა სიხარულით მიულოცეს მას ეს დიდი წარმატება.

რაზმეულის საბჭო უყოყმანოდ აძლევს მას რეკომენდაციას კომკავშირის რიგებში შესასვლელად.

თამაზ თევზაძეც 55-ე სკოლის მერვეკლასელია. ისეთი კაი ბიჭია — ამხანაგებს თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ. როგორც ყველა ბიჭმა, თამაზმაც ზეპირად იცის ფეხბურთის ამბები, ჭადრაკის თამაში ხომ პირდაპირ მისი გატაცებაა! ჭადრაკი უფროსმა დამ — მანანამ ასწავლა, როცა ჯერ კიდევ სკოლამდელი გახლდათ. ახლა უმცროსი უგებს უფროსს. თამაზი ამ ამბავს ძალზე ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს: შვიდი წელია წვრთნიან მას თბილისის საჭადრაკო კლუბში და მეორე თანრიგამდე მიაღწია; რა გასაკვირია, რომ მანანას მოუგოს!

სკოლაში კარგად იცნობენ თამაზს, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მან თავისი კლასის გოგო-ბიჭები რაზმეულის საჭადრაკო ტურნირისათვის მოამზადა და პირველი ადგილიც დაასაკუთრებინა. რაზმეული ნდობას უცხადებს მუდამ ხალისიან, ბეჯით ყმაწვილს.

ნდობა გამოუცხადეს ზაალ გარაყანიძესაც.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერს უყვარს თავისი სამშობლო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი ემზადება იმისათვის, რომ გახდეს საკ. ალკაკ წევრი.

ზაალი ერთ-ერთი რიგითი წევრია 24-ე სკოლის იმ რაზმისა, რომელმაც შარშან „შვიდწლედის თანამგზავრის“ სახელი მოიპოვა. რაზმში არ იყო არც ერთი ოროსანი. ამ რაზმმა მრავალი საინტერესო შეხვედრა მოაწყო, ჰქონდა მეგობრული მიმოწერები, მუშაობდა ოქტომბრელებთან, შეფობას უწევდა საბავშვო ბაღს... ზაალი კლასის ორგანიზატორი იყო და რაზმის საბჭოსაც მონდომებით ეხმარებოდა...

ცნობილ სპორტსმენთა რიგებს შეიძლება მალე შეემატოს ერთი ტანმორჩილი, მოკრძალებული გოგონა. ჯერჯერობით ამ გოგონათი მხოლოდ მე-12 სკოლა ამაყობს. როზა ბერიკაშვილს უკვე თვალსაჩინო წარმატებები აქვს მოპოვებული; 1962 წელს იგი წარმატებით გამოვიდა მოსწავლეთა XIV რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე და მეორეთანრიგოსანი გახდა. ადრე მას პირველი ადგილი ჰქონდა დასაკუთრებული ქალაქის მოსწავლეთა შორის. მომდევნო წელს როზას აჯილდოებენ XV რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე პირველთანრიგოსანთა შორის მეორე ადგილისათვის; წელს, XVI სპარტაკიადაზე, იგი ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის პროგრამით გამოვიდა, ნაირსიმაღლის ორძელზე მესამე ადგილი დაიკავა და მხოლოდ უწლოვანობის გამო ვერ მიანიჭეს სპორტის ოსტატის წოდება.

როზა კვირაში ოთხჯერ, ოთხ-ოთხ საათს, გატაცებით მუშაობს თავის თავზე და სპორტის ახალ პროგრამას ეუფლება. რაც მთავარია, იგი კარგი მოსწავლე და რაზმის მოწინავე პიონერია; ალბომების შედგენაა თუ ჯართის შეგროვება, ლაშქრობაა თუ მეგობრული მიმოწერა — როზა ყველაფერში მონაწილეობს. ჰყავს, როგორც თვითონ ამბობს, ოქტომბრელთა „შუქურვარსკვლავი“ და თავისუფალ დროს მათთან ატარებს.

სკოლის კომკავშირის საერთო კრება ადგენს: როზა ღირსია ატარებდეს კომკავშირელის სახელს.

ასეთივე იმედითა და ნდობით მიიღეს კომკავშირის რიგებში მე-100 სკოლის პირველ რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მანანა ფორაქიშვილიც. მის რაზმში შარშან, პირველ მეოთხედშივე, არ ყოფილა არც ერთი ოროსანი. ამიტომ, დიდი იმედითა და მონდომებით ჩაებნენ რაზმების საკავშირო შეჯიბრებაში. გამარჯვების მოსაპოვებლად ბევრი კარგი რამ გააკეთეს: საკლასო ოთახში მოაწყეს საყვარელი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა, ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტენდი, შეადგინეს ალბომი მწერლებზე, იყვნენ ლაშქრობაში, საიდანაც საინტერესო ექსპონატები ჩამოიტანეს...

როცა ვალენტინა ტერეშკოვას ალამმა ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო მოგზაურობა, — გაგრიდან თბილისში ჩამოტანილი ეს კოსმოსური საჩუქარი პირველმა მანანა ფორაქიშვილის რაზმმა მიიღო. რაზმეული სადგურზე შეხვდა გაგრელ პიონერებს, საზეიმო სიმღერებში და ტაშის გრიალში მანანამ მოირგო გამარჯვებულის წითელი ქუდი, თეთრი ზოლი და ვარსკვლავი რომ ამშვენებდა, ჩაიბარა მინიან ყუთში მოთავსებული პაწია ალამი და სტუმრები სკოლაში მიიპატიჟა...

ასეთია ხუთი ჩვეულებრივი მაგალითი.

ამ ხუთეულის კვალდაკვალ ათასობით პიონერი მიისწრაფვის. ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი უხმობს მათ თავის რიგებში, სადაც ასწავლის — როგორ ამენონ კომუნიზმი, როგორ გახდნენ ახალი ადამიანები, კომუნიზმის მომავალი მოქალაქეები.

კომკავშირი მაღალი ტიპის, რთული და საინტერესო ახალი სკოლაა. პიონერულ ორგანიზაციას არაერთი თაობა აღუზრდია მისთვის. სიჩარულით მიდიან ეს თაობები კომკავშირში; მაგრამ... ალისფერ ყელსახვევთან განშორებას მაინც რაღაცნაირი სინანული ახლავს.

არის რაღაც სასიხარულოც და სახაღვლოც ამ ნათქვამში:

— მშვიდობით, რაზმეულო!

ეთერ სახვაძე.

ფორუმის დელეგატები

კარგ გუნებაზე არიან

მოსკოვში, ყრილობათა სასახლეში, თითქმის ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ეროვნული დამოუკიდებლობისა და განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ფორუმი.

მსოფლიოს 121 ქვეყნიდან ჩამოსულ დელეგატებს დიდი, საქმიანი საუბარი ჰქონდათ იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდობას აკისრია ხალხთა შორის მშვიდობის შესანარჩუნებლად, მთელს მსოფლიოში ძმობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად.

ფორუმის ტრიბუნიდან ჩვენი პლანეტის ახალგაზრდობამ ფიცი დადო, რომ უფრო მეტი მონდომებით, მეტი გატაცებით იბრძოლებს მშვიდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის დიადი საქმისათვის. ფორუმზე განმტკიცდა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის ერთიანობა, დაიბადა ახალი, კიდევ უფრო მტკიცე მეგობრობა, რომელიც შიშის ზარს სცემს კაპიტალისტურ სამყაროს.

ამიტომ იყო, რომ კრემლის ყრილობათა სასახლეში მოწყობილ მიღებაზე საბჭოთა ახალგაზრდობის ხელმძღვანელმა, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პავლოვმა თქვა:

„ფორუმის დელეგატები კარგ გუნებაზე არიან!»

ფორუმს მიესალმნენ პიონერებიც. კრემლის სასახლეში საზეიმოდ გაისმა პიონერული საყვირის ხმა. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი შეეგება ალისფერყელსახვევიან გოგონებსა და ბიჭებს.

ფორუმის მონაწილეებმა მიიღეს დეკლარაცია, რომელიც შესანიშნავად გამოსახავს მსოფლიოს ხუთი კონტინენტის ახალგაზრდობის ერთიანობასა და სიმტკიცეს, მის მისწრაფებას მშვიდობისაკენ, კაცობრიობის ბედნიერებისაკენ. ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, საბჭოთა კავშირში იქნება ეს, აფრიკასა თუ სამხრეთ ამერიკაში,



შეხვედრა აეროდრომზე.

სტუმრად პიონერთა სასახლეში.

სურთ მუდამ უღრუბლო და კაშკაშა იყოს ცა, რომ ადამიანებს შეეძლოთ მშვიდობიანად იშრომონ, ააშენონ ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

ფორუმის დამთავრების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრების გასაცნობად, დელეგატთა ჯგუფები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებისაკენ გაემართნენ. რამდენიმე ჯგუფი, კერძოდ, ავსტრიის, იუგოსლავიის, რუმინეთის, სირიის, აფრიკის განთავისუფლებული სახელმწიფოების წარმომადგენლები, საქართველოსაც ეწვია; სტუმრებმა დაათვალიერეს ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, შეხვდნენ თბილისის სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას. ამ ფოტოსურათებზე თქვენ ხედავთ ფორუმის მონაწილეებს: პიონერთა სასახლეში, თბილისის 23-ე საშუალო სკოლასა და მცხეთის მიდამოებში სტუმრობის დროს.

სასახლეში, თოჯინების თეატრის სპექტაკლის შემდეგ.

63-ე სკოლის პიონერებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზავნილი

ჯანსულ ჩარკვიანი

რა მინდვრები გადავთელე,
რას არ შევხვდი არნახულს...
მამამ მთელი საქართველო
მომატარა ამ ზაფხულს.

კაკაბივით კაკაბეთი,
ალპანა და ორბელი,
ხორბალივით ვარსკვლავები,
ვარსკვლავივით ხორბალი.

მთებს ცხვარივით შეჰფენია,
ლაჯანა და ცაგერი.
და მაღლობებს შერჩენია
თოვლის თეთრი ნამქერი.

თერგი მორბის ყირამალა,
ქაფი უგავს გვირილას,
თერგი უფრო მყვირალაა,
ვიდრე თვითონ ყვირილა.

კოშკებს მთები დაჰხარიან,
ლამაზი და ბრწყინვალე.
უშბა უფრო მაღალია,
ლამაზია მყინვარი.

„ჩარი, ჩარი,
ჩარირამა“,
ტყე არის თუ ჯარია,
ენგურჰესთან დაეშვები,
იქ სოფელი ჯვარია.

სიმღერების თანამგზავრი,
რაც მტერმა ვერ დასძლია,
გომბორი და ალაზანი
ტანძია და ვარძია.

ჭალები და ვენახები,
ლურჯი და მეწამული...
ავთვალს არ დაენახვება—
ჩემი დიდი მამული.

ბრძოლა მოლოპზე

დავით კვირკველია

ნაწყვეტი

ზურაბ ფოლავრიანისა

— სჯობს დარჩეთ, — მარტო რომ იყოთ, კიდე ჰო... თქვენ ბავშვი გახლავთ, მეცირეწლოვანი ბავშვი... თუ გეშინიათ, მებრძოლს დაგიტოვებთ, რომელიმე სოფლამდე მიგიყვანათ, დაგბინავებთ და შემდეგ დაგვიწყეს. ასე უცნაურად ნუ იღებენ, სოფია მიხაილოვნა; მე ხომ თქვენი და თქვენი მეუღლის მეგობარი ვარ. თქვენ ხომ იცით, ილიასთან ძმასავით ვარ შეზრდილი. ის ახლა საფლავ მოქმედ არმიაშია და თქვენზე ფიქრობს. აქ ტყეა, ყოველ წუთს მოსალოდნელია მიფათი. დაფიქრდით, ჯერ კიდევ დრო, ბრიგადა ნაშუალამეს დაიძრება. ბიჭს სძინავს?

— სძინავს. შეხედეთ, როგორ აქამაცუნებს ტუჩებს, როგორ მოუმეტყველ პაწია ხელი, თითქოს ვიღაცას ეშეკრებაო. ჩემმა გენიკამ ყველაფერი იცის, სერგეი კირილიჩ, ყველაფერს სერგეი და გენიკი დამეგობრდნენ...

მეორე თვეა, რაც დედა-შვილი რაზმში არიან. თითქოს და განკეკ — ბევრი ბრძოლა მოუხდა რაზმს. სერგეი სულ ცდილობდა — ბრძოლისგან განერიდებინა სოფია, მაგრამ ქალი ყოველთვის წინ მიძერებოდა. ხელში მუდამ კარაბინი ეჭირა და გვარიანადაც ისროდა. გენიკიც მუდამ დედის გვერდით იყო, ჯიმეკები ვაზნებით ჰქონდა გამოტენილი და ბრძოლის დროს ტყვიით ამარაგებდა. თავისუფალ დროს ვაზნებს გულდაგულ წმენდდა. სულ იმის ოცნებაში იყო, როგორმე იარაღი ჩაეგდო ხელში. როგორც კი წაქცეულ ფაშისტს თვალს. მოკარავდა, მისკენ მიიწევდა—უნდოდა იარაღი აეღოთმი, მაგრამ სოფია მიხაილოვნა დაუცაცხანებდა და ბიჭიც მორჩილ ლეკვივით მიწას გაერთხმებოდა.

— ნუ, სერგეი, ამას ნუ იზამთ, მე უნდა გამოგყვეთ, — ქალმა თავი ასწია, მეთაურს მუდარით შეხედა და გიიმორა: — უნდა გამოგყვეთ. ვიცი, ორშას ჩაგეულლით... ორშის ახლოს დედაჩემი ცხოვრობს, იქ დამატოვეთ...

სერგეის უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს მათ მაღალი, შაგგერემანი ახალგაზრდა მიუახლოდა.

— არ გძინავს, სერგეი?

— ,,ეგ?

— თვალი ვერ მოვხუჭე. გამარჯობათ, სოფია მიხაილოვნა, გუშინ მოელი დღე არ მინახავხართ. გენიკს სძინავს?

ახალშოსულმა მიიხედ-მოიხედა, დაიხარა და ბავშვს ფრთხილად აკოცა. გენიკი ძილში შეიშმუნა.

ARCHIVE
www.tabula.ge

— ეს ბრიგადა ახლა ადამოვის ტყეებისაკენ მიეგზავნებოდა.

წითელი არმია ვიტებსკს უტევდა.

ნეველთან დიდი ბრძოლები იყო. ბრიგადის მეთაურმა ვასილ ბოიკომ არმიის სა[illegible] ღელისაგან მიიღო დავალება, — უკან დაეხია და ვიტებსკის აღებაში მიეღო მონაწილეობა. ბრიგადას გზა მოეჭრილი ჰქონდა. ყოველ სოფელში ფაშისტები იდგნენ. ბრიგადა ძალზე ფრთხილად მიიწევდა წინ, პირდაპირ ტყის პირს მიაკვლებოდა. ყველამ იცოდა, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მტერთან შეტაკება. ასე იყო გუშინ, ასე იქნება ხვალ, მაგრამ ბრძანება უნდა შესრულდეს. ბოიკო არაფერს არ დაერიდება, ან შეაკვდება მტერს, ან ბრიგადას დანიშნულ ადგილზე მიიყვანს. ეს კარგად იცოან პარტიზანებმა.

ახლა შეიღი რაზმი დროებით ისვენებს ნაძვნარში, მერე რაზმი [illegible]ალურ დგას. ნაშუალამეს უნდა დაიძრაან. ასეთია ბრძანება.

აქეთ — დაჩრილი კენესის... იქით — ვიღაც გაბმულად გმინავს. სოფია კოცონს ჩაჩერებია და ქვედა ტუჩს იკვნეტს.

— იქნებ სჯობდა, დაჩრილებისათვის მიგეგზავნა, სერგეი კირილიჩ, — თავი არ აუწევია, ისე ჩაილაპარაკა ქალმა.

სერგეიმ არაფერი არ უპასუხა. უცებ, ერთმა აზრმა გაელვა: „დაჩრილებს რომელიმე სოფელში გადავიყვან და სოფიას დავავალებ — მიხედოს მათ“. ეს აზრი მოეწონა და საკმაოდ მკაცრად თქვა:

— თქვენ დაჩრილებთან დარჩებით!

— არ გინახავართ? — გაიკვირვა ქალმა, — ამა, რას ამბობთ, საშა, თქვენ არ გაგვიგია ბიჭისგან?

— არ მახსოვს, — გაიცინა საშამ [illegible] თვითონ-ბილეში [illegible] მოაწინა. ჩაჩერალ კოცონში [illegible] ფესვები [illegible] ვები. ფიჩი ატაკაცენდა. ალმა[illegible] [illegible]

— მეთაური სოფელში დატოვებს მიპირებს, ამხანაგო შტაბის უფროსო, — გულდაწყვეტით თქვა ქალმა. საშამ სერგეის გადახედა. სერგეიმ თავი დაუქნია და თვალიც ჩაუკრა. მაგრამ ეს ადარ დაუნახავს საშას. — მიბრძანა, — დაჩრილებთან დარჩებით! თქვენ, თქვენც ამ აზრისა ხართ?

— მეთაურის ბრძანება კანონია, სოფია მიხაილოვნა!

ამ დროს ვენიკი შეიძარა, მერე რაღაც წამოიძახა. საშამ სოფია მიხაილოვნას მკლავში ფრთხილად ჩაკიდა ხელი და ხეს მოაფარა, თან თითი ტუჩზე მიიდო, — ჩუმად იყავით, მე მაცალეთო.

ვენიკი წამოჯდა.

— გაგეღვიძა, ვაკაცაო? — ჰკითხა საშამ. ვენიკმა საშას გაუღიმა და მის გამოწვდილ ხელს ხელი ვაკაცურად დაკრა. ვენიკს უყვარდა საშა; თავისუფალ დროს საშა მას თავის ქვეყანაზე უამბობდა, ომის შემდეგ საქართველოში წაყვანას პპირდებოდა.

— დედა სად არის? — იკითხა ბავშვმა.

— დედაშენი სოფელში გაგგზავნე, დაჩრილებთან დარჩება, შენც დარჩები, — თქვა სერგეიმ.

— მე არ დავრჩები, — ბიჭი წამოხტა და სასაცილოდ გაიჭიმა.

— დარჩები! — ღიმილით განუმეორა მეთაურმა. ვენიკმა საშას გადახედა. არ დავრჩებიო, — ამბობდნენ მისი ბავშვური, ცრემლით სავსე, მაგრამ მაინც ნაკვერცხლებივით მოკიაფე თვალები.

— დედას დატოვებ?

— თუ საშაში არ არის! — ჩაილუღღუღა ბიჭმა, — მეც თქვენთან წამოვალ, ოღონდ...

— ოღონდ, რა?

— ერთხელ მაინც ენახავ დედას.

სოფია მიხაილოვნამ მეტი ვეღარ მოითმინა, საფარიდან გამოვარდა და ზეიღს მოეხვია. ქალი ტიროდა. სერგეიმ ხელი ჩაიქნია და კოცონს გაშორდა.

— გადაწყდა! — თქვა საშამ.

— ასეც ვიცოდი — რაზმს არ დავმორდებით, შეიღო!

— ოქ, რა კარგია, დედა!

საშას უნდოდა დედა-შვილისთვის რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჭრა და ერთხანს ხმა ვერ ამოიღო.

— პირობა უნდა მომეცი, სოფია მიხაილოვნა, რომ ბრძოლის დროს ფრთხილად იქნები, შეიძლება ყოველთვის ვერ მოგაქციოთ ყურადღება.

სოფიამ თავი დაუქნია და გაუღიმა.

ნაშუალამეს წამოიშალნენ და გზას გაუდგნენ. მიაბიჯებდნენ რაც შეიძლება ჩუმად. მყუდროებას ხანდახან იარაღის

ჩხარუნი, ან რომელიმე მებრძოლის ჩახველება თუ დაარღვევდა. სადღაც მაშხალებს ისროდნენ, ერთბაშად რამდენიმე მაშხალა აიჭრებოდა ცაში. დაეკიდებოდნენ მაშხალები უხილავ საკიდებზე და სანამ არ ჩაქრებოდნენ, მიდამო დღესავით იყო განათებული. ამ დროს მთელი ბრიგადა მიწაზე გაერთხმებოდა...

მზვერავად მეორე რაზმი მიუძღოდათ. რაზმები საკმაო მანძილით იყვნენ ერთმანეთს დაშორებული.

განთიადისას ტყე უცებ გათავდა. წინ ბუჩქნარი გამოჩნდა, მარჯვნივ მცირე შეღმართი იწყებოდა.

წვიმდა, უბერავდა ცივი ქარი.

ბრიგადა შედგა.

გენიკი დედის გვერდით იდგა და ისიც სხვებივით მაღლობისკენ იცქირებოდა.

უცებ ბოიკო გამოჩნდა. მას სერგეი და საშა მიეგებნენ. ბოიკომ ორივენი გვერდზე გაიხმო. მოშორებით მაღლობი ჩანდა. იგი შავ ბოლში იყო გახვეული და საეჭვოდ სდუმდა. მეთაური დიდხანს იცქირებოდა მაღლობისაკენ.

— უნდა გადავიაროთ, — ხელი გაიშვირა მაღლობისაკენ ბოიკომ, — რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავიაროთ, ასე საკმაო დროსა და მანძილს მოვიგებთ. ხალხი გადაქანცულია, მე კი დენთის სუნი მცემს. მაღლობი დუმს. იქნებ მტერი ჩასაფრებულია, იქნებ ბევრნი არიან... თუ მცირე რაზმია, სჯობს ახლავე შევუტიოთ. მაღლობს იქით იწყება დიდი, ჭაობიანი ტყე. ჩვენც სწორედ ეს გვინდა.

— მე წავალ, ამხანაგო ბრიგადის მეთაურო. დავზვერავ, დავაზუსტებ! — ნაბიჯი წინ წადგა საშამ. ბოიკოს ყოველთვის მოსწონდა ეს მამაცი ქართველი ბიჭი. ბევრჯერ უსახელებია მას თავი. ბევრჯერ წაუყვანია იერიშზე რაზმი. სერგეი მთელი ექვსი თვე დაჭრილი იყო და საშა მეთაურობდა რაზმს. „წავიდეს", — გაიფიქრა ბრიგადის მეთაურმა და ის-ის იყო თანხმობა უნდა მიეცა, რომ იქვე, სულ ახლოს, გენიკმა ფრთხილად, მაგრამ ყველას გასაგონად, ჩაახველა.

ბოიკომ ბიჭისკენ გაიხედა: „ცოდვაა, თორემ ეს უფრო გაძვრება", — გაიფიქრა მან.

— აბა, აქ მოდი, პარტიზანო!

პარტიზანიო! — ბიჭის თვალებმა დაკვესა, მთელ ტანში რაღაცამ ცეცხლივით დაუარა, მერე ბოიკოს წინ გამოიჭიმა.

— ამხან... — დასჭექა, მაგრამ სიტყვის დამთავრება ვინღა აცალა.

— სუსს... — ტუჩზე ხელი მიაფარა ბოიკომ და გაიცინა.

— მე წავალ, ამხანაგო მეთაურო, მე გავიგონე თქვენი ბრძანება, ყველაფერი ვიცი, წავალ, — სხაპასხუპით მიაყარა ბიჭმა. სოფია მიხაილოვნას შიშით მუხლები მოეკვეთა... „გაუშვებს თუ არა? გაუშვებს თუ არა?" — ფიქრობდა დედა.

— მე წავალ, ამხანაგო ბრიგადის მეთაურო! ბავშვმა რა უნდა გააკეთოს! — გაბედა ხმის ამოღება საშამ. ბოიკომ მის თხოვნას ყური არ ათხოვა.

— წადი! — უთხრა მტკიცე ხმით ბრიგადის მეთაურმა — გენიკს, — დრო — ორი საათი! ფრთხილად, ხოხვით უნდა იარო. როგორ ფიქრობ, რა მანძილი იქნება მაღლობამდე? — ბავშვმა შიშით გახედა ნისლში გახვეულ მაღლობს, ტუჩები ააცმაცუნა, ვერაფერი ვერ თქვა. საწყლად შეხედა ბოიკოს. „თუ ვერ ვუპასუხე, არ გამიშვებს", — გაიფიქრა და უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ბოიკომ აღარ აცალა:

— ნახევარ კილომეტრამდე იქნება. ბუჩქნარს გაჰყევი. შარაზე გადაიპარები, მერე — ხოხვით, მხოლოდ ხოხვით!

ბოიკოს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ბიჭმა ქუდი შეისწორა და მოჰკურცხლა. ბოიკომ თვალი გააყოლა, თავი გადააქნია, მერე შემობრუნდა და სოფია მიხაილოვნასთან მივიდა.

— გაბრაზებული ხართ?

— მე წავიდოდი...

— გამოდის, რომ მიწყრებით. ნუ შიშობთ, ბიჭი დაბრუნდება. მაღლობზე, მგონი, არავინაა, — თქვა მეთაურმა და შებრუნდა. ცოტა გაიარა. მეთაურს სერგეი და საშა მიჰყვებოდნენ. ნაძვთან შეჩერდნენ, მაღლობს გახედეს და ჩუმი საუბარი გააბეს.

სოფია შორს, შავ ნისლში გახვეული მაღლობისკენ იცქირებოდა. „ნუ გამწირავ, ღმერთო!" — აღმოხდა ქალს და ნელა, მისდაუნებურად ჩაიკეცა.

გავიდა საათი, გავიდა კიდევ ოცდაათი წუთი... გენიკი არ ჩანდა.

ბოიკო უხმოდ დაალაჯებდა ნაძვებს შორის. ღელავდა. საშა და სერგეიც არანაკლებ ღელავდნენ.

ბოიკო წამდაუწუმ საათს დასცქეროდა.

მოთენდა.

გავიდა ორი საათი.

ბოიკო მარჯვენა ფეხს ცხენის ტორივით სცემდა მიწას.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი.

„არ უნდა გამეშვა", — ფიქრობდა ბოიკო და უკვე აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

„იქნებ შეიპყრეს... იქნებ აწამებენ და გატყდა კიდეც ბიჭი. იქნებ... ხომ არ სჯობია, ბრიგადა დავძრა?" — ახლა ამ აზრმა გაუელვა თავში. „ათი წუთიც და, ვბრძანებ — დავიძრათ. მაგრამ, რომელი გზით? — მაღლობის შემოვლით, თუ პირდაპირ მაღლობისკენ". მეთაურმა საათს დახედა, საშა იხმო:

— გადაეცი ბრძანება, მოემზადონ!

საშა ჩვეული სისწრაფით არ შებრუნებულა ბრძანების შესასრულებლად. ეს შენიშნა ბოიკომ და შეუბღვირა. სხვა დროს დასჯიდა, დაუცაცხანებდა, მაგრამ ახლა ქართველი ბიჭის უცნაურად ანთებულმა თვალებმა შეაჩერეს. ბრძანება გაიმეორა.

საშა წელმოწყვეტილი შებრუნდა და ნაძვნარს შეერია. ბოიკომაც გადადგა ნაბიჯი, აქ დარჩენა აღარ შეეძლო. წინ, მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენ მომავალი სოფია მიხაილოვნა მიეგება. ქალმა უცებ ჩაიჩოქა მის წინ...

— შემიბრალეთ! — აღმოხდა მას.

— ადექით, სოფია მიხაილოვნა. მე კიდევ დავიცდი, ხუთ წუთს, ათსაც... მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, თქვენ უნდა გამიგოთ... შეგნებული ქალი ხართ... უნდა გამიგოთ, უნდა იცოდეთ... მე კიდევ დავიცდი... ათ წუთს, ცოტა მეტსაც, მაგრამ...

ბოიკო საცოდავად ლუღლუღებდა. სიტყვებს ეძებდა, უნდოდა როგორმე დაემშვიდებინა ქალი. სოფია ყრუდ ქვითინებდა.

— ადექით, ადექით, აი, მე ვიცდი... მე... მე ბრძანებას უკან ვიბრუნებ. ჩვენ მაღლობს შევუტევთ, ბიჭს განსაცდელში არ დავტოვებთ. ადექით, ადექით! — ქალს ხელი მოხვია და წამოაყენა. სოფია მიხაილოვნა ბოიკოს განიერ მკერდს მიეყრდნო და უფრო აქვითინდა.

...გენიკმა საურმე გზა სწრაფად გადასჭრა და მაღლობამდე სულმოუთქმელად ირბინა. მაღლობს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, სული მოითქვა და, რატომღაც, უკან მოიხედა. რამდენიმე წუთს იცქირებოდა იქითკენ, სადაც ბრიგადა დატოვა. იცქირებოდა და ამოწმებდა: თუ გერმანელები მაღლობზე არიან, შეუძლიათ თუ არა ნაძვნარში შენიღბული ბრიგადის შენიშვნაო. კმაყოფილად ჩაიღიმა. უკან წასასვლელ გზას გულდაგულ დააკვირდა. „აი, ის არყის ხე, სულ განმარტოებით რომ დგას, ახლოს უნდა იყოს ჩვენებთან... იქედან შარას გადაირბენ, მერე — ორი დიდი ნაძვი, ბილიკი და... „მაგრამ ჯერ რა დროს ამაზე ფიქრია. მას ხომ თვით ბრიგადის მეთაურმა მისცა დავალება! დგას გენიკი და მაღლობს გასცქერის. ისევ საეჭვოდ დუმს მაღლობი. თითქოს ქარიც ჩადგა, მაგრამ — არა... აგერ, სულ ახლო, აშრიალდა ბუჩქი. ბიჭი შეკრთა და ჩაიჩოქა. „ქარია, მე კი შემეშინდა“.

ბიჭი ხოხვით მიიწევდა წინ. ყოველ ბუჩქთან შეჩერდებოდა, ტოტებს ისაფრებდა და თავს ასწევდა, მიდამოს მოათვალიერებდა. არავინ არ ჩანდა.

უეცრად ახლო, სულ ახლო, კაცის ხმა გაიგონა. გულმა რეჩხი უყო. ხელმარჯვნივ, რამდენიმე ნაბიჯზე, გერმანელი შენიშნა. მხარზე შავი ავტომატი ეკიდა. ფაშისტი რაღაცას ელაპარაკებოდა ამხანაგს. გენიკი მეორე ბუჩქისაკენ გახოხდა. გერმანელებამდე ათიოდე ნაბიჯი დარჩა. ტყვიამფრქვევს ოთხი გერმანელი მიჯდომოდა. ბიჭმა გაბედა, გახოხდა და ბუჩქთან გაქვავდა.

დიდხანს ათვალიერა იქაურობა, მაგრამ ვერავინ ვერ შენიშნა „აქეთ არ არიან“, — დაასკვნა და ხელმარჯვნივ მიიხედა. ერთი დიდი ბუჩქი დაინახა. „იქამდე უნდა მივიდე“, — გაიფიქრა და გახოხდა. პირდაპირ ტალახში მიხოხავდა. წაქცეული ნაძვის ტოტებში შეძვრა, მერე წამოიწია და შიშით კინაღამ შეჰყვირა. იქვე, ხუთიოდე ნაბიჯზე, მეორე ტყვიამფრქვევი იყო. რვა ფაშისტი დათვალა.

წინ წასვლა დააპირა, მაგრამ რომელიღაც ფაშისტმა ისე უცნაურად დააცხინკვა, რომ ბიჭს სიცილი კინაღამ წასკდა. ახლა ოდნავ ქვევით აიღო გეზი. ფრთხილად და ყურადღებით მიხოხავდა.

გერმანელებს ყოველ ოც-ოცდაათ ნაბიჯზე ტყვიამფრქვევები დაედგათ და იცდიდნენ.

დასცხა. ოფლად გაიღვარა. ქურქის ღილები შეიხსნა. მაგრამ ხოხვის დროს ქურქის კალთა ბუჩქს გამოედო, ისევ შეიბნია. ბიჭი მთლად ტალახში იყო ამოთხვრილი.

მერე და მერე ტყვიამფრქვევის ბუდეებმა იკლო. ქვევით, იქ, სადაც ოდნავი დაღმართი იწყებოდა, აღარავინ არ ჩანდა. გენიკი შებრუნდა და გეზი იქეთკენ აიღო, საიდანაც გერმანელების ლაპარაკი ისმოდა. წამოდგა და უზარმაზარ ნაძვს მოეფარა. ასე უფრო მოხერხებულად უთვალთვალებდა. გერმანელები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. „ახლა რომ ხელყუმბარა მომცა, შიგ შუა გულში ვხეთქავ, აფეთქების ხმას ჩვენებიც გაიგონებენ და მომეშველებიან“.

ჯიბეზე ხელი მოისვა, კარაბინის ვაზნებმა დედა გაახსენა. „რას ფიქრობს ახლა დედა?“...

* * *

— აბა, დავიძრათ! — გაისმა ბრძანება.

— მე აქ დავრჩები, სერგეი, — შვილს დაველოდები...

— წავიდეთ, დაო, ვიხსნათ ბიჭი!

— კარგი, წავიდეთ, — თქვა სოფიამ და კარაბინი გადმოიღო, მაგრად ჩაბღუჯა.

— გენიკ! — შესძახა უცებ სერგეიმ.

გენიკი დედას მივარდა.

— გენიკ, ყოჩაღ შენს ბიჭობას!

— სუსს, ნუ ყვირით, ძია სერგეი, იქ გერმანელები არიან.

— ბევრნი არიან?

— ბრიგადის მეთაურთან მიმიყვანეთ, ძია სერგეი! — გენიკმა შორიდან შენიშნა ბრიგადის მეთაური, გაქანდა და წინ გამოეჭიმა.

— ამხანაგო ბრიგადის მეთაურო, ბრძანება შესრულებულია! მაღლობი დავზვერე, იქ გერმანელებია, ნახევარ რკალად არიან ჩასაფრებულნი. სულ ასთორმეტი ფაშისტია! — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა.

— რად დაიგვიანე? საათი და ოცი წუთი გადააცილე!

ბიჭი არ იძროდა. სახის არც ერთი ნაკვთი არ ერხეოდა. თვალზე ცრემლი მოდგომოდა, ცდილობდა — მეთაურს მის თვალებში ცრემლი არ შეენიშნა.

ბოიკომ ცრემლი მაინც შენიშნა. ბიჭისკენ ნაბიჯი გადადგა, უნდოდა ხელში აეტაცნა, გულში ჩაეკრა... მაგრამ ბიჭი უკან-უკან იხევდა, ერთხანს ცრემლს იკავებდა, ბოლოს ტირილით თქვა:

— თქვენ... თქვენ გგონიათ ადვილი იყო მათი დათვლა? ერთმანეთში ირეოდნენ, მეც ხოხვით დავყვებოდი უკან...

— ყოჩაღ, შვილო, ყოჩაღ! მაშ, ბევრნი არიან?

— არა, ასთორმეტია მხოლოდ!

ბოიკოს გაეცინა. „იქნებ ათასია, ან — მეტიც, მაშინ!?“ ბიჭი თითქოს მიუხვდა და სხაპასხუპით მიაყარა:

— ასთორმეტია, ამხანაგო ბრიგადის მეთაურო, შევუტიოთ!

—შევუტიოთ! — გაიმეორა ბოიკომ.

— ძია სერგეი! ჩვენი რაზმით ქვევიდან მოვუვლით, აქ — დან ადვილად მივეპარებით, მე გაგიძღვებით!

— შენ რა, ბრიგადის მეთაურობას მართმევ? — ლოყაზე ხელი მოუთათუნა ბოიკომ და სერგეის მიუბრუნდა:

— გაჰყევი, სერგეი კირილიჩ, ჩვენ პირდაპირ გადავალთ!

— არის!

რაზმს გენიკი გაუძღვა.

...მხოლოდ ერთ საათს გაგრძელდა ბრძოლა. სერგეის რაზმმა ისე მოულოდნელად დაჰკრა ზურგიდან გერმანელებს, რომ ტყვიამფრქვევების შებრუნებაც ვერ მოასწრეს. ბოიკო პირდაპირ იერიშით წავიდა მაღლობისაკენ. ფაშისტები რკალში მოემწყვდნენ. რკალი თანდათან ვიწროვდებოდა. მხოლოდ ერთ გადატეხილ ნაძვთან დაყოვდნენ. ფაშისტებს ნაძვის გაჩაჩხულ ტოტებში ტყვიამფრქვევი შეენიღბათ. მოხერხებული პოზიცია ეჭირათ. პარტიზანებს ახლოს არ უშვებდნენ. ვიღაცამ ხელყუმბარა სტყორცნა, მერე წინ წავიდნენ, მაგრამ ახლა ავტომატის ჯერი დააყარეს საფარიდან. მარტო ერთი ფაშისტიღა გადარჩენილიყო. ერთხანს ისროდა, მერე ხელები ასწია და პარტიზანებისაკენ გამოემართა. გენიკმა იცნო. სწორედ ის ახმახი ფაშისტი იყო. ფაშისტი ათიოდე ნაბიჯზე რომ მოახლოვდა, ხელყუმბარა ელვის უსწრაფესად პარტიზანების კარგა მოზრდილ ჯგუფში შეაგდო. მერე რევოლვერი იძრო და რვა ტყვია მკერდში დაიხალა.

...პარტიზანთა ჯგუფი, საშას მეთაურობით, უკვე სამშვიდობოზე გასულ ბრიგადას დაეწია. ბრიგადა უზარმაზარი საძმო საფლავის წინ იდგა. საფლავში ოცდაცხრა პარტიზანი ჩაწვინეს...

საშა ბოიკოს მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

— ნება მომეცით, მოგახსენოთ!

— ა, შენა ხარ?..—ბოიკო თითქოს ბურანიდან გამოერკვა, საშას მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— აბა, მომახსენეთ!

— მოკლულია ასთორმეტი გერმანელი. ტყვე—არც ერთი. ნადავლი: ტვიამფრქვევი — ოცდათორმეტი, ავტომატი...

— დაიცა! რამდენია მოკლული?

— ასთორმეტი, ამხანაგო ბრიგადის მეთაურო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...ადგან სოფელი ვინმეს გვიძლოვა

— დიდებულია, მშვენიერია.

— მთელი ეს კოლექცია ნახევარ მილიონ მანეთადაა შეფასებული, პატივცემულმა ქეთევანმა კი თავის მშობლიურ ქალაქს აჩუქა ამოდენა სიმდიდრე.

ჩვენს მასპინძელს ვეუბნებით, რომ ამის შესახებ უკვე წაკითხული გვაქვს გაზეთში...

უცებ, მასპინძელს თვალები გაუბრწყინდა.

— წელან დამავიწყდა მეთქვა, აქეთობას წითელი აგურის დიდ შენობას რომ ჩამოვუარეთ, იცით რა იქნება იმ შენობაში?

ჩვენ არ ვიცოდით.

— საბავშვო ბიბლიოთეკა.

— მერე რა, საბავშვო ბიბლიოთეკები ყველგანაა.

— ეს სხვაა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამ ბიბლიოთეკას საკუთარი დანაზოგებით აშენებს ერთი თელაველი მოხუცი ქალი.

კომკავშირის სამრეწველო კომიტეტში დაგვიდასტურეს:

— სრული სიმართლეა. ის ქალი ყოფილი რევოლუციონერი ელენე ოგანეზოვაა; ახლოს ცხოვრობს, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, თუ გინდათ მივიდეთ, შინ იქნება.

ელენე სახლში მარტო იყო.

ღია კარებში შევედით, მოგრძო დერეფანი გავიარეთ და გაზის ქურასთან მოფუსფუსე დიასახლისს თავზე წავადექით.

კომიტეტის მდივანმა შინაურულად მოიკითხა დიასახლისი.

მე ჯერ არ მახსოვს, მოხუცი ქალისათვის მეკითხოს: „როგორ ბრძანდებით“- მეთქი და პასუხად არ მიმეღოს: „ეჰ, შვილო, როგორ ვიქნები!“ დეიდა ელენემ კი „—კარგად ვარ, ცუდად რატომ უნდა ვიყოო“, — გვითხრა და სკამები შემოგვთავაზა. ახალგაზრდული, შავი თვალებით შემომხედა და წინსაფრის ჯიბისკენ წაიღო ხელი. მივხვდი, რომ სათვალეს ეძებდა. მეც მივიხედ-მოვიხედე და საწოლთან, პატარა მაგიდაზე, ტურგენევის ტომში მოვკარი თვალი სათვალის მოკაუჭებულ ყურს...

დეიდა ელენემ დაიწყო თავისი ცხოვრების ამბავი.

ამბავი ძალზე საინტერესო და ამაღელვებელი. დეიდა ელენე ისეთი სიზუსტით აღადგენდა ძველისძველ ამბებს, თითქოს აგერა, გუშინდელს ჰყვებოდა.

1905 წელს, ჩვიდმეტი წლის გოგო მეზობლის ქალმა პირველად წაიყვანა კრებაზე. ამბობდნენ, — თბილისიდან კაცი ჩამოვა და ის გვესაუბრებაო.

ის კრება არ დაავიწყდება ელენეს; იმ დღეს მას მოეჩვენა, რომ აქამდე თვალებზე ფარდა ჰქონდა აფარებული და ბევრ რამეს ვერ ხედავდა.

თბილისიდან ჩასულმა ახალგაზრდამ თქვა: ლიტერატურა უნდა გავავრცელოთ გლეხებშიო. ლიტერატურა კი არ იყო.

მალე თბილისიდან ჩამოიტანეს საბეჭდი მანქანა „ამერიკანკა“. ნიჭიერმა ქალიშვილმა მალე ისწავლა ასოთამწყობობა.

პროკლამაცია პროკლამაციაზე იბეჭდებოდა და გრძელნაწნავებიანი ლამაზი გოგო ვაშლებიანი კალათით, რომელშიც პროკლამაციები ეწყო, ხან გრემის გზას გაუყვებოდა, ხან — წინანდლისას.

ჟანდარმერიამ ეჭვი აიღო, — ხშირად გადიოდა ქალიშვილი თელავიდან „ავადმყოფი დეიდების“ სანახავად. 1906 წელს გაჩხრიკეს ელენეს ბინა.

— შენ სტამბა გაქვს, — მიახალა პირდაპირ ჟანდარმმა.

— სტამბა რა არისო, — „გაიოცა“ ქალიშვილმა, — საკერავი მანქანა მაქვს, მე ხომ ჭრა-კერვის სკოლა დავამთავრეო.

— ვაი, რა სულელი ყოფილხარო,— შეეცოდა ჟანდარმს.

ელენემ საჩქაროდ გააფრთხილა ამხანაგები და სტამბა გადამალეს.



ჩვეული ბოლ

თელავში ჩამოვიდნენ პროპაგანდისტები მიშა ღლონტი და ავქსენტი სიდამონიძე, რომლებმაც ქისტაურში გამართულ მიტინგზე ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდეს. ჟანდარმერიამ შეიტყო, ვინ აქტიურობდა ამ მიტინგზე ყველაზე მეტად. ელენე იძულებული იყო, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, თელავი დაეტოვებინა.

თბილისში ჩამოსულ ქალიშვილს ცხოვრების სხვა სახსარი არ გააჩნდა და გადასწყვიტა — კერვით ერჩინა თავი. „მადამ ჟანთან" (ასე ეძახდნენ სამკერვალოს პატრონს) ახალმა მუშამ მთელი ქალები ააჯანყა,—ორგანიზებულად მოითხოვეს ხელფასის მომატება. პატრონმა იგრძნო, საიდან ჰქროდა ქარი და ელენე სამუშაოდან დაითხოვა.

1907 წელს ელენემ დის სახლში გახსნა ჭრა-კერვის სკოლა, სადაც კრებებს მართავდა. მასთან ინახებოდა არალეგალური ბიბლიოთეკა, — მარქსის, ენგელსის, ლენინის წიგნები. ეჭვი რომ არავის აეღო, ელენე ლიტერატურას თავის უმცროს და-ძმას უწყობდა ჩანთებში და მუშებთან ატანდა.

ერთი წლის შემდეგ, კომიტეტის დავალებით, ელენე თელავში დაბრუნდა.

ერთ ღამეს მოჭაული ჩიჩუა „ესტუმრა" ელენეს. ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს პარტიის საწევროს შეგროვების ანგარიში და იმათი სია, ვისაც წიგნები ჰქონდა წაღებული. ამხანაგები განსაცდელში იყვნენ.

ელენე მოჭაულის ცოლს კაბებს უკერავდა. ელენე მას ათი კაბის უფასოდ შეკერვას შეპირდა, თუ ქმარს მოპარავდა ქაღალდის ორ ნაგლეჯს.

ქარაფშუტა ქალის სიხარბემ განსაცდელისაგან იხსნა ელენეს ბიბლიოთეკის მკითხველები.

1911 წელს ელენე არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის დაპატიმრეს და 4 წლით ნოვოჩერკასკში გადაასახლეს, საიდანაც ის მალე გამოიპარა. გადასახლებაში ფილტვები დაუსუსტდა და ერთ ხანს სოფელ სიონში იმალებოდა, თან მკურნალობდა.

მერე კი დადგა რევოლუციის ბობოქარი წლები და ერთ ადგილზე რაღა გაჩერებდა პროფესიონალ რევოლუციონერს: ხან სად გზავნიდა მას პარტია და ხან — სად.

რევოლუციამ გაიმარჯვა

ასე გავიდა წლები და ასე იქცა რევოლუციონერი ელენე ოგანეზოვა ბებიად. რა ვუყოთ მერე, წლებს თავისი გააქვს, და ბებიობაც, თავისთავად, აგრერიგად ხელწამოსაკრავი „პროფესია" როდია.

ბებიას ათასი საზრუნავი აქვს.

ელენეს — მითუმეტეს...

მთავრობამ დააფასა ელენეს ღვაწლი და პერსონალური პენსია დაუნიშნა: ახლა მაინც იზრუნე შენს თავზეო. პენსიის ფული მოგროვდა და მოგროვდა, ერთ მშვენიერ დღეს კი ელენეს ობლიგაციამ დიდი თანხა მოიგო.

კეთილშობილმა ქალმა დიდხანს იფიქრა, რა გაეკეთებინა ამ ფულით მშობლიური ქალაქისათვის, მერე მაინც ბავშვების სიყვარულმა დასძლია და გადაწყვიტა: მათთვის ბიბლიოთეკა აეშენებია.

გორკის ქუჩაზე წითელი აგურის კოხტა სახლის მშენებლობა მალე დამთავრდება. ელენესთან ინჟინრები მოდიან, თათბირობენ გათბობაზე, განათებაზე. ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერზე ზრუნავს ეს მოუღლელი, განსაცვიფრებელი ენერგიის ადამიანი.

— მინდა ბიბლიოთეკას გავუკეთო: მაგიდები, სკამები, კარადები, წიგნებისა და ყვავილების თაროები, ფარდები და ხალიჩები. აქ ბავშვებმა უნდა შეიყვარონ წიგნი, უწიგნოდ ადამიანი ჩვენს დროში წარმოუდგენელია, — თქვა დეიდა ელენემ.

„ჩვენს დროშიო" — უბრალოდ ვიტყვით ჩვენ, დეიდა ელენემ კი ისე წარმოთქვა ეს ორი სიტყვა, გეგონებოდათ რაღაც ძვირფასი ნივთია და მას ხელით ეხებაო.

— მე თქვენ გეტყვით და, არ უნახავს სხვა დრო და არ ახსოვს მისი საშინელება!

...ამ ახალთახალ ბიბლიოთეკაში შევა ბიჭუნა. წიგნს გადაშლის და წაიკითხავს... მერე თავს ასწევს და ჩააფიქრებს წაკითხული...

მაშინ დეიდა ელენე ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ მისმა ბრძოლამ და შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

ნარგიზა ზვიელაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲙᲘᲕᲘ ᲝᲚᲔᲒᲘ ᲐᲘᲭᲕᲔᲒᲘ

Ზ. ᲚᲔᲛᲙᲐᲨᲔᲚᲘ

ფოტოები ᲠᲝᲛᲐᲠ ᲗᲣᲠᲥᲘᲐᲜᲘᲡ

მათემატიკოსები ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ცხოვრებით ცხოვრობენ: დადიან კინოში, უსხედან წიგნებს, დასდევენ ბურთს, უსმენენ მუსიკას... დედამიწის ზურგზე, ალბათ, არ მოიძებნება არც ერთი მათემატიკოსი, რომელიც თავის აზრებსა და გრძნობებს ინტეგრალებით ან ფარდობითობის თეორიით გამოხატავდეს.

ეს ამბავი გასულ წელს მოხდა: ქალაქში ხმა დაირხა, თბილისის ერთ-ერთი სკოლის ბაზაზე მათემატიკური პროფილის კლასები ჩამოყალიბდებაო.

მთაწმინდის ძირას დგას 62-ე სკოლის ლამაზი ოთხსართულიანი შენობა. პირველად აქ, ამ ნათელ აუდიტორიებში შეხვდნენ ერთმანეთს მათემატიკას „მოწყურებული“ ხულიკო ხაუომია, ხაშა ხარშილაძე, მარგარიტა დავარაშვილი, გურამ ხამსონაძე, მანანა მირიანაშვილი, ვალია ტერეშოვა; ისინი თბილისის სხვადასხვა სკოლებიდან მოვიდნენ და შეიკრა კოლექტივი, რომლის წევრები სხვებისაგან განსხვავებული, ერთი „არაჩვეულებრივი“ თვისებით არიან დაჯილდოვებულნი—ემარჯვებათ და უყვართ მათემატიკა.

...უნივერსიტეტში ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადა გაიმართა; 62-ე სკოლელები ერთ აუდიტორიაში ისხდნენ და თავიანთ თავში, ცოტა არ იყოს, ზედმეტად დარწმუნებულნი (ეპატიოთ ეს

სურათზე: ედემი ლაგვილავა თავის სტიქიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ამოცანა საინტერესოა, მისი ამოხსნისათვის დროისა და ადგილის მოძებნა არ არის ძნელი.

ცოდვა!) მათემატიკის ფორმულებს ერკინებოდნენ. არ დამარცხებულან, თითქმის ყველა მოხვდა გამარჯვებულთა შორის, მაგრამ ცოტა-ცოტა ყველამ შეცცოდა, და მერე, როცა გამარჯვებულებს დიპლომები ჩამოურიგეს, ცოტა იხტიბარგატეხილები იყვნენ, თუმცა „ნახდახან არც თვეზისათვის ყოფილა წეალში ცურვა ეოლი".

ახალგაზრდა პროფესორი გამარჯვებულთა გვარების კითხულობდა, ხელს ირთვიდა, ულოცავდა. ყველა გვარი ნაცნობი იყო, ყველახსა... გარდა ერთისა... 82-ე სკოლელები აშკარა ცნობისმოყვარეობით შეხცქეროდნენ ქერათმიან, უცნობ ბიჭუკს.

— ლაგელავა ედემი, ეგზემპლარის რაიონი, სოფელ ყურეზეს საშუალო სკოლა, პირველი ხარისხის დიპლომი, — თქვა პროფესორმა და თავზე ხელი გადაუსვა ბიჭუკს.

ამ დღიდან მათემატიკოსთა ახალგაზრდა ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეეერთდა, — მაღალმთიან სოფლიდან ჩამოსული ედემი ლაგელავა.

ოჰ, ლებარდეს ახლო მიდამოებში, დარბოდა ფეხშიშველა ბავშვი, მწყემსავდა ხაჭონელს, დადიოდა წისქვილში, დაბერდა ეანაში ხალილი, — ერთი სიტყვით: იყო ისეთი, როგორიც ათასობით მისთანა, უდარდელი და ზნიარული ბავშვი დაახლოებს ამ ქვეყანაზე. ოღონდ ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა: ყველაფერს ითვლიდა, ითვლიდა, უმატებდა და აკლებდა, ამრავლებდა და ყოფდა. ხუთი ღორი, ათი ეთერ, შვიდი თხა... გაამრავლებდა, შერე გაყოფდა; ჯაუფად ჩდგარ ხეებს გაჰყიდავდა, მერე თვალს მოუტაკავდა და გონებაში ითვლიდა. ქვას დაინახავდა — იქამდე ახი ნახირი აქვნებია — გაიელვებდა გული და გადაზიმავდა ბაბანის. წყაქეოლს ქვა ერთ ხათმის ამდენ ხანში დოდეკეალი, იტკიოდა, არ გაუმაგუნებენოდა ნათქვამი. ქალაქში რომ ჩამოვიდა, ერთი უცნაური ჩვეეა აქაც იეკვიადა, — მანქანა რომ გაიელის, ნომერს დაჰკრავს თვალს — ოთხი ციფრი ზეპირი ვამრავლებინა და გაყოფის განუსაზღვრელ საშუალებას იძლევა...

წელს ედემი, საშა ხარშილაძესთან ერთად, მოსკოვში, საკავშირო ოლიმპიადაზე იყო მიწვეული. ორივემ გამარჯვებულის დიპლომი ჩამოიტანა და, იცით, ვინ აწერდა ამ დიპლომებს ხელს? თვით აკადემიკოსი ხილმოგორავი — ჩვენი დროის ეს ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი.

ახალგაზრდა მათემატიკოსები შორს გასცდნენ საშუალო სკოლის ჩვეულებრივ კურსს, ინტერესები გაიზარდა. ახლა ფიზიკაც გახდა საჭირო (და მერე როგორ!). ტუფლად კი არ თქვა ლომონოსოვმა: ქიმია ფიზიკის მარჯვენა ხელია, მათემატიკა კი თვალია. ფიზიკის უკან აზრის იხელი გენიოსები დგანან, როგორიცაა: ალბერტ ეინშტეინი, ენრიკო ფერმი, ნილსბორი... თუმცაა მათი ნაიზრეკი ჯერ ძნელადმისაწვდომია ბავშვებისათვის, მაგრამ სიყვარული და მისწრაფება მაინც თავისას აკეთებს, ცნობისმოყვარეობა თუ ინტერესი უსწრებს ცოდნას და ბავშვები ცდილობენ მეცნიერების უსასრულო ოკეანეში შეჭრას.

გავა დრო, ბევრი მათგანი ფეხს კარგად მოიდგამს და მიაღწევს ამ ოკეანის ხაოცნებო ნაპირს.



ედემი ლაგელავა, სულიკო ხაკომია, საშა ხარშილაძე, მარგარიტა დავარაშვილი, გიორგი სამსონაძე და მანანა, მარიკა ნაზველი მათემატიკური წრის მეცადინეობაზე

დიდებული საქმე ითავეს განათლების სამინისტროს, პროფესორებმა: დავით კვესელავამ და ფილიმონ ხარშილაძემ. სწორედ მათი იდეა იყო მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების ერთ სკოლაში თავმოყრა...

მართლაც, რა არის იმაზე კარგი, თუ ადამიანის უნარს და გაქანებას თავიდანვე მიეცემა გზა, სარბიელი. ეს მითუმეტეს საჭიროა ჩვენს დროში — მეცნიერების ზღვაროული [illegible]ულის ეპოქაში. ადამიანს ერთი სიცოცხლე იმისათვისაც ძალიან ეყოფნის, რომ უკვე შექმნილი, უკვე აღმოჩენილი შეითვისოს და, აბა, როდისაა მოასწრებ ახლის თვისებას, ახლის შექმნას, თუ ადრევე არ აღმოჩენ შენს მოწოდებას, ადრევე არ მოეკიდები საქმეს.

ხაჭართველოს ხახელოვან მათემატიკოსთა სკოლას — რაზმაძის, მუსხელიშვილის, ვეკუას, კუპრაძის სკოლას — ათიმდენ მემკვიდრეები ეზრდებიან. ვუსურვებთ მათ, რომ ამ დიდი და სახიჰადელო მემკვიდრეობის ღირსეულ განმგრძობებად დაიზრდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება მიჰყავს
ქიმიის მეცნიერებათა
კანდიდატს, დოცენტ
აკაკი გუნცაძეს.

ბუნებრივი ნივთიერებანი

გარემომცველი ბუნების ყოველი ცალკეული სხეული, რაც ჩვენს გარშემო არსებობს, წარმოშობილია ნივთიერებებისაგან — მატერიისაგან. ასე რომ, საქმე მუდამ სხვადასხვა სხეულებთან და მათ შემადგენელ ნივთიერებებთან გვაქვს. ნივთიერებებია: მინა, წყალი, მცენარე, რკინა, ქვა და სხვა.

ესა თუ ის სხეული თავისი აღნაგობით — წყობით, შეიძლება რთული იყოს, შემადგენლობით კი მარტივი. მაგალითად, ავიღოთ ბოქლომი, იგი მთლიანად რკინის პატარ-პატარა ნაწილებისაგან არის აწყობილი. როგორც ნაწილები, ისე მთელი ბოქლომი ერთი ნივთიერებისაგან — რკინისაგან შედგება. ამგვარად, აღნაგობით რთული სხეული ბოქლომი მარტივი ნივთიერებისაგან შედგება.

ხშირად, გარეგნულად მარტივი სხეული შეიძლება შედგენილობით მეტად რთული იყოს. მაგალითად, ხის ნაჭერი, სისხლი, წყალი, ნივთიერი შედგენილობით მეტად რთული სხეულებია.

ქიმიის შესწავლის მიზანს შეადგენს არა სხეულები, არამედ ნივთიერებანი, რისგანაც შედგებიან თვით სხეულები, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები.

ნივთიერებები გვევლინება მაგარ, თხევად და აირად მდგომარეობაში, რომლებიც შედგება ცალკეული ნაწილებისაგან — მოლეკულებისაგან, მოლეკულები კი — ატომებისაგან.

ნივთიერებები ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი თვისებებით: ფერით, სუნით, გემოთი, კუთრი წონით, მეტი ან ნაკლები სიმაგრით, ძნელდნობადობით, აქროლადობით და სხვ. (შეადარეთ ერთმანეთს სპირტი და წყალი).

რომელიმე ნივთიერების თვისებების გასაცნობად საჭიროა სუფთა ნივთიერების აღება; სხვა ნივთიერების მცირე მინარევსაც კი შეუძლია შეცვალოს მისი თვისებები, მაგალითად, სუფთა წყალს ერთი წვეთი მელანი რომ შეურიოთ, — შეიღებება, ქინაქინის ერთი ნამცეცისაგან გამწარდება, შერევის შემდეგ წყალი იქნება არა სუფთა, არამედ მინარევების შემცველი.

ქიმია საკვირველი და სასწაულმოქმედი მეცნიერებაა, რაც ვლინდება ნივთიერებათა გარდაქმნის პროცესებში.

ჩვენს დროში ქიმიისა და მისი ცოდნის გარეშე წინ ვერ წავალთ. არ არის მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომ ქიმიასთან რაიმე კავშირი არ ჰქონდეს, პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

იმათ, ვინც საშუალო სკოლის ქიმიის კურსის შესწავლა ახლა დაიწყეთ (VII კლასელებს), მინდა შემოგთავაზოთ საპროგრამო კურსის გარეშე „სახალისო ქიმიიდან" გამომდინარე ქიმიური საოცრებანი, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ საკუთარი ხელით გააკეთოთ. ამ ცდებს შეუძლიათ არა მარტო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, არამედ ცოდნის მოცემაც.

პირველი საკითხი, რომელზედაც ჩვენ შევჩერდებით, არის ნივთიერებათა გარდაქმნა. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ შემდეგი ცდები:

უცეცხლოდ კვერცხის მოხარშვა

უცეცხლოდ კვერცხის მოხარშვა ან შეწვა, შესაძლებელია აფრიკაში—საჰარასა და სხვა ტროპიკულ უდაბნოებში. საკმარისია, იქ კვერცხი ცხელ ქვიშაში ჩავდოთ, რომ შეიწვას.

მაგრამ ჩვენს პირობებში, როგორ უნდა მოვახერხოთ უცეცხლოდ კვერცხის ოდნავ მაინც (თოხლოდ) მოხარშვა? ამისათვის აიღეთ თიხის ქილა, ჩაყარეთ შიგ დაუშლელი კირი, ჩადეთ კვერცხი და დაასხით ზედ წყალი, ნარევი საგრძნობლად გახურდება. ნარევს აცალეთ გაცივება. შემდეგ ამოიღეთ ქილიდან კვერცხი და დაინახავთ, რომ იგი ნაწილობრივ მოხარშულია.

ამაში საოცარი არაფერია. ეს სითბო ქიმიური რეაქციის შედეგად გამოიყო კირისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და წყლის ურთიერთმოქმედებისას.

ხშირ შემთხვევაში ამ რეაქციას იყენებენ თვითმთბობად კონსერვებისათვის, რაზედაც სხვა დროს გვექნება საუბარი.

წყალი—მელნად და მელანი — ისევ წყლად

ამ მეტად საინტერესო ცდის ჩასატარებლად უნდა აიღოთ ორი ბოთლი, ერთი წყლიანი, მეორე კი ცარიელი და ოთხი ცარიელი ჭიქა. პირველ ორ ჭიქაში ასხამთ ბოთლიდან წყალს. მესამე და მეოთხე ჭიქაში ამავე ბოთლიდან ჩასხმული წყალი — მელანია. შეგიძლიათ გამოსცადოთ და დარწმუნდეთ, რომ ის კარგად წერს.

ოთხივე ჭიქა ჩასცალეთ ცარიელ ბოთლში, აანჯღრიეთ. ბოთლში, ნაცვლად მელნისა, გამჭვირვალე წყალი ჩადგება და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მელანი არც ყოფილა. ამ უცნაური პროცესის ასახსნელად საჭიროა, ბოთლში ჩასხმულ წყალში წინდაწინვე გაიხსნას ნახევარი ჩაის კოვზი ტანინი. პირველი და მეორე ჭიქა ცარიელია, მესამე და მეოთხე ჭიქაში კი წინასწარ ჩააწვეთეთ რამდენიმე წვეთი სამქლორიანი რკინის კონცენტრული (მაგარი) ხსნარი, მასთან ტანინის შერევა წარმოქმნის მელანს. ზემოთ დასახელებულ „ცარიელ“ ბოთლში წინასწარ ჩაასხით მყაუნმყავას კონცენტრული ხსნარი და, შიგ ჩასხმული მელანი ისევ წყლად იქცევა.

წყლიდან — რძე და რძიდან — წყალი

წყლიანი რძე ყველასათვის ცნობილია, მაგრამ წყლიდან რძის მიღება კი წარმოუდგენელია. ამ ცდის ჩასატარებლად აიღეთ ორი ჭიქა, რომლებშიც შუამდე ასხია გამჭვირვალე ხსნარი. შემდეგ ამ ორივე ჭიქიდან ხსნარს ვასხამთ მესამე ჭიქაში. ამ ურთიერთშერევის დროს ჭიქა რძით ივსება. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ეს შთაბეჭდილება ქრება, ხსნარი ისევ დაიწმინდება და ჭიქის ფსკერზე გროვდება თეთრი, ხაჭოსებრი ნალექი. თუ ხსნარს კვლავ ავანჯღრევთ, მივიღებთ ისევ რძისმაგვარ სითხეს. საკმარისია, ამ ხსნარს ნიშადურის სპირტი მივუმატოთ, რომ ხსნარი კვლავ გამჭვირვალე გახდეს.

ამ საიდუმლოების ახსნა ასეთია: ჭიქებში რომ სითხე ესხა, ეს არ იყო უბრალო წყალი, არამედ ხსნარი — ერთში იყო წყალში გახსნილი სუფრის მარილი, ხოლო მეორეში — წყალში გახსნილი ლაპისი. მათ ურთიერთმოქმედებამ წარმოშვა რძისმაგვარი ხსნარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ ცდებში დასახელებული, და საერთოდ, ყველა რეაქტივი საჭიროებს დიდი სიფრთხილით მოპყრობას, რადგან ბევრ შემთხვევაში ისინი საწამლავებია. რეაქტივებს ხელით არ შეეხოთ, ქილიდან აუცილებლად პინცეტით ამოიღეთ.

ცდების ჩასატარებლად საჭიროა თანდათანობით შექმნათ პატარა, ქიმიური ლაბორატორია, რომლისთვისაც საჭირო საგნების შეძენა შეგიძლიათ სახელგამთან არსებული ქიმიური აპარატურისა და რეაქტივების სპეციალურ მაღაზიებში. ხშირად მიმართეთ ქიმიის მასწავლებელს კონსულტაციისათვის.

უნდა შეიძინოთ:

1. პატარა კარადა (ხაკეტით), 2. ხის შტატივი (სინჯარებისათვის) — 2 ცალი, 3. რკინის შტატივი — 2 ც. 4. სინჯარები—20 ც. 5. ქიმიური ჭიქები სხვადასხვა ზომის — 10 ც. 6. კოლბები სხვადასხვა ზომის — 10 ც. 7. მინის ძაბრი — 2 ც. 8. ფაიფურის პატარა ზომის ჯამები — 5 ც. 9. სპირტქურა — 2 ც. 10. აზბესტიანი ბადე — 2 ც.

რეაქტივები:

1. ნიშადურის სპირტი, 2. ლაპისი, 3. ტანინი, 4. სამქლორიანი რკინა, 5. მყაუნ-მყავა, 6. სუფრის მარილი, 7. ჩაუმქრალი კირი, 8. მარილმჟავა.

რეაქტივები საკმარისია 10-15 გრ რაოდენობით.



ნახატები
ედუარდ ამბოკაძისა

ჩვენს უკვალჯერ ხელოვნებაზე

ლენინი! —ვამბობთ ამ სახელს და უმალ თვალწინ წარმოგვიდგება უდიდესი ადამიანი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მშრომელთა განთავისუფლებასა და ბედნიერებას შესწირა.

ლენინი დიდი და ყველასაგან გამორჩეული ადამიანი იყო. მაგრამ არაჩვეულებრივად უბრალო და თავმდაბალიც. იგი პატარაობიდანვე ხალხში იზრდებოდა, ჩაგრულთა სევდასა და მწუხარებას ისმენდა, დამცირებულთა იმედებსა და ოცნებებს იზიარებდა.

ლენინს უყვარდა ყველაფერი, რაც ხალხს უყვარდა, მათ შორის — ხელოვნებაც, ხალხის გრძნობებისა და მისწრაფებების გადმომცემი სიმღერა და მუსიკა, მხატვრობა და თეატრი, მწერლობა და, მაშინ ჯერ კიდევ უხმო, მაგრამ უკვე დიდად მეტყველი კინოხელოვნება. ლენინს ხელოვნება იტაცებდა, მაგრამ სიმღერასა და მუსიკას, მწერლობასა და მხატვრობას, თეატრსა და კინოს მარტო გამრთობად როდი მიიჩნევდა, — იგი ხელოვნებას ყველა ეროვნების მშრომელი ადამიანების ძმობის მოქადაგედ გამიზნავდა. ხელოვნება უნდა ამხნევებდენ ბრძოლაში, შრომაში, სწავლაში, დასვენებაში, — ამბობდა ლენინი.

ვინ ჩაუნერგა ხელოვნებისადმი სიყვარული პატარა ვალოდია ულიანოვს? ვინ შეასწავლა პირველი სიმღერა, ვინ გააცნო მუსიკას, მწერლობასა და მხატვრობას?

დედ-მამამ, მარია და ილია ულიანოვებმა.

კიდევ ვინ?

მეფის მთავრობის მიერ ჩაგრულმა ხალხებმა, რომელთა სიმღერები და ლექსები ყოველდღიურად ესმოდა პატარა ვალოდიას.

დედა ხშირად შემოიკრებდა ხოლმე შვილებს და სიმღერას ასწავლიდა. ვალოდიას კი მშვენიერი მუსიკალური სმენა ჰქონდა და ისე ძლიერ იყო გატაცებული სიმღერით, რომ და-ძმასაც კი ეხმარებოდა. ზოგჯერ მისი მონდომება და გარჯა უნებლიედ უმცროსი ძმის ცრემლითაც კი მთავრდებოდა. „პატარა ბავშვებს დედა ზალაში გაიყვანდა და როიალის აკომპანიმენტით საბავშვო სიმღერებს ასწავლიდა. სამი წლის უმცროსი ძმა მიტია ძალზე გულჩვილი იყო და არ შეეძლო უცრემლოდ ემღერა „ბეკეკა“. ვცდილობდით გადაჩვევოდა ამას, დაგვეყოლებინა, მაგრამ, როგორც კი ძალას მოიკრებდა და შეეცდებოდა უშიშრად ემღერა ყველა გულდამწყვეტი ადგილი, ვალოდია მიუტრიალდებოდა სახის საშინელი გამომეტყველებით და განსაკუთრებული ხაზგასმით დაამღერებდა: «Напа-али на ко-озлика серые волки...»

მიტია, რაც შეეძლო თავს იმაგრებდა, მაგრამ ცელქი ვალოდია როდი ცხრებოდა და ძმის გამოსაცდელად კიდევ უფრო ტრაგიკული გამომეტყველებით მღეროდა: «Оставили бабушке ро-ошки да но-ошки», მანამდე, სანამ პატარა ბავშვს გამძლეობა არ უღალატებდა და ტირილს არ მორთავდა“, — იგონებს ლენინის უფროსი და ანა ულიანოვა.

ვალოდია ულიანოვი გაჭირვებული ხალხის სევდიანი მუსიკისა და სიმღერის ატმოსფეროში ატარებდა ბავშვობის წლებს. შემდეგ კი, როცა წამოიზარდა, მეფის მთავრობის მიერ აკრძალულ ლიტერატურასთან ერთად აკრძალულ მუსიკასაც დაეწაფა და დიდი მონდომებით სწავლობდა რევოლუციურ სიმღერებს.

ლენინს ძალიან უყვარდა როიალიც. რვა წლის ასაკში მშვენივრად უკრავდა საბავშვო პიესებს, უკვე მოზრდილი კი კარგად მღეროდა რომანსებსა და საოპერო არიებს.

როცა ლენინი მღეროდა ხოლმე ვალენტინის არიას გუნოს ოპერა „ფაუსტიდან“, იგი ყოველთვის დიდი სიხალისით წარმოთქვამდა მებრძოლი სულისკვეთებით გამსჭვალულ სიტყვებს:

„იქ სისხლიან ბრძოლაში, შეტაკების ჟამს,
ვფიცავ, ვიქნე პირველი, ვიქნე წინა რიგებში“.

ციმბირში გადასახლებაში მყოფი ლენინი რევოლუციონერებისაგან შემდგარ თვითმოქმედ მომღერალთა გუნდში მღეროდა. გუნდის ხელმძღვანელი სტარკოვი გულდამწყვეტ და სევდიან სიმღერებს ასწავლიდა რევოლუციონერებს. ლენინს არ მოსწონდა ეს. მას ისეთი სიმღერების შესწავლა სურდა, რომლებიც კი არ მოადუნებდნენ გადასახლებულ რევოლუციონერებს, არამედ გაამხნევებდნენ, მეფის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმავდნენ. ამიტომ იყო, რომ ლენინი გუნდის ხელმძღვანელს მიმართავდა: „თქვენ როგორც გენებოთ, მე კი მხოლოდ ამას ვიმღერებ:

„ზიზღით ვუცქერით ჩვენ ოქროს კერპებს,
მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტრები“.

ლენინმა ერთ-ერთმა პირველმა იმღერა რუსეთში ყველა ქვეყნის მუშების საბრძოლო ჰიმნი „ინტერნაციონალი“. ცნობილია, რომ ეს ჰიმნი ფრანგულიდან რუსულად მხოლოდ 1902 წელს ითარგმნა. ლენინმა კი იცოდა უცხო ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, პოლონური, იტალიური. იგი ოთხი წლით ადრე, 1888 წელს გაეცნო ფრანგულ ენაზე დაბეჭდილ „ინტერნაციონალს“ და თავის დასთან, ოლღასთან ერთად დუეტით იმღერა იგი. ლენინი შემდეგშიც დიდ მნიშვნელობას აძლევდა რევოლუციური სიმღერების შესწავლასა და გავრცელებას.

ლენინს უყვარდა თეატრიც, მაგრამ მოითხოვდა, რომ სცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპასიონაგა

მხატვარი
ნ. ნ. ჟუკოვი

ნაზე არ დაედგათ ისეთი პიესები, რომლებიც მაყურებლებს მიაჩვევდნენ უსაქმურობას, უდიერობას, უზრდელობას, უხამსობას, უდარდელობას, არამედ მხოლოდ ისეთი სპექტაკლები, რომლებიც კეთილშობილური გრძნობით აღზრდიდნენ თეატრში მოსულ ადამიანებს, აღუმაღლებდნენ მხატვრულ გემოვნებას, შეაყვარებდნენ შრომას, ჩაუნერგავდნენ სიმართლისა და სამართლიანობის გრძნობას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, როცა ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, ლენინი დახმარებას არ აკლებდა თეატრებს, აძლევდა მათ სახელმწიფო სახსრებს.

ლენინი დიდად აფასებდა ცხოვრების სწორად და ღრმად გადმომცემ მხატვრობას.

ერთმა მხატვარმა—მაგარამმა შვეიცარიაში მყოფი ლენინის პორტრეტი დახატა, მაგრამ სხვა მხატვრებისადმი მიბაძვით ისეთი ქუდი გამოუხატა და ისეთი გამომეტყველება მისცა მის სახეს, რომ ლენინი სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანს კი აღარ გავდა, არამედ ცნობილი მხატვრის, რემბრანტის მიერ თავის დროზე დახატულ წარსული დროის უცნობ ადამიანს ემგვანებოდა. — ხელოვნებაში კოკობზიკობა არ გამოდგება. ამ სურათში მე არა ვარ, ჩემი ხასიათი არა ჩანს. თქვენ მე მალამაზებთ, მაგრამ რად მჭირდება. ხელოვნებას სიყალბე არ უყვარს. თუ ასე განაგრძეთ, თქვენგან ნამდვილი მხატვარი არ გამოვა, — უსაყვედურა ლენინმა მხატვარ მაგარამს და პორტრეტი დაუწუნა.

ლენინი ვერ ურიგდებოდა ისეთ მხატვრებს, რომლებიც მანჭვა-გრეხას ხელოვნებად ასაღებდნენ. მხატვარმა სურათი ისე უნდა დახატოს, რომ ერთნაირად გასაგები იყოს ხალხისათვის, მუშებისა და გლეხებისათვის, მოსწავლისა და მასწავლებლისათვის, დიდებისა და პატარებისათვის. იგი პატივისცემით ეექცეოდა იმ მხატვრებს, რომლებიც ცხოვრებას იცნობდნენ და მართლად ასახავდნენ ადამიანების შრომასა და შემოქმედებას თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში. — ხელოვნება ხალხისათვის გასაგები უნდა იყოს, ხალხის გრძნობებსა და მიზნებს უნდა გადმოსცემდეს, ხალხს უნდა უმღეროდეს და ემსახურებოდეს! — ამბობდა ლენინი და მის ამ მოთხოვნას ახლა ჩვენი ხელოვნება წარმატებით ახორციელებს.

რა ლამაზი რამ არის ხელოვნება, ნეტავ მეტი დრო მქონდეს, რომ უფრო ახლოს გავეცნო მას, — სინანულით ამბობდა ლენინი.

ეს დროც დადგა. ახლა ჩვენს ბავშვებს ყველა შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ მუსიკა, ხატვა, ქანდაკება, წერონ ლექსები და მოთხრობები, გადაიღონ კინოფილმები, დადგან პიესები, ითამაშონ დრამატულ წრეებში, გაალამაზონ საკუთარი და სხვების სიცოცხლე, აზრიანი და ნაყოფიერი გახადონ შრომა, დასვენება.

ამიტომ პატარაობიდანვე უნდა დავეწაფოთ ხელოვნებას და ისევე შევიყვაროთ, როგორც უყვარდა ბავშვობიდანვე ვალოდია ულიანოვს, დიდ ლენინს.

ოთარ ეგაძე,
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

,,ჩაპაევი"

,,ჩაპაევი" ისტორიული სიმართლის და ლეგენდარული გმირობის სიმბოლოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭენებულ ცხენზე მჯდომი ჩაპაევი თავისი ცნობილი პარტიზანული ქუდით, მაღლა შემართული ელვარე ხმლითა და აფრიალებული ნაბდით ყოველი ჩვენგანისთვის სიმამაცისა და ლეგენდარული გმირობის სიმბოლოა. ოცდაათი წლის წინ, 1934 წელს, ძმებმა სერგეი და გიორგი ვასილიევებმა შექმნეს ფილმი „ჩაპაევი", რომელიც შედევრად დარჩა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიო კინოხელოვნების საგანძურშიც. ფილმის შექმნის დროს თავიანთ რეჟისორულ განაცხადში ძმები ვასილიევები ირწმუნებოდნენ: „ჩვენ გვსურს ავაღელვოთ მაყურებელთა დარბაზი, გვსურს, რომ მაყურებელს უყვარდეს ჩვენი გმირები და სძულდეს ჩვენი მტრებიო". სურვილმა მოლოდინს გადააჭარბა. „ჩაპაევი" საყოველთაოდ საყვარელ ფილმად იქცა, რაც იმით აიხსნება, რომ მისი მაღალმხატვრულობა მჭიდროდაა დაქვემდებარებული ღრმა ჰუმანიზმთან, ცხოვრებისეულ სიმართლესთან და დიდ რევოლუციურ პათოსთან.

სამოქალაქო ომის პერიოდზე შექმნილმა მნიშვნელოვანმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა, დ. ფურმანოვის ავტობიოგრაფიულმა მოთხრობამ „ჩაპაევმა" კინემატოგრაფიულ ენაზე ამეტყველებით თითქოს სული ჩაიდგა. ფილმის ძირითადი გმირები კაცთმოყვარე, კეთილშობილური აზრებით ანთებული ადამიანები არიან, რომელთაც იციან მტკიცე სიყვარულიც და სიძულვილიც. მთელი რიგი ეპიზოდები რეჟისორული და აქტიორული ოსტატობის თვალსაზრისით საუკეთესო მაგალითებად დარჩნენ კინოხელოვნებაში. დაუვიწყარია მქროლავ ეტლზე მოკაკანე ტყვიამფრქვევთან ხელგაწვდილი ჩაპაევის სახე, თეთრგვარდიელთა რაზმების ფსიქიური შეტევა, ფურმანოვისა და ჩაპაევის შეკამათება, ჩაპაევის მიერ კარტოფილებით ჩატარებული ტაქტიკური გაკვეთილი, ბრძოლის წინ მებრძოლთა სიმღერა, ტრაგიკული ფინალი ჩაპაევის დაღუპვისა. მსახიობები: ბ. ბაბოჩკინი (ჩაპაევი), ბ. ბლინოვი (ფურმანოვი), ვ. მიასნიკოვა (ანა), ლ. კმიტი (პეტკა) და, საერთოდ, მთელი შემოქმედებითი კოლექტივი ცხოვრებისეული სიმართლის ლოგიკიდან გამომდინარეობენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვით ჩაპაევის როლის შემსრულებელი ბ. ბაბოჩკინი, რომელმაც თავისი გმირი ადამიანური უბრალოებითა და, ამავე დროს, რევოლუციური ეპოქის მიერ წარმოქმნილი გმირის კეთილშობილური თვისებებით შეამკო. მსახიობმა ხალხური ტრადიციების დაკვირვებული შესწავლის საფუძველზე გამოძებნა ჩაპაევისებური კოლორიტული ხასიათი, ქცევა და მოქმედება.

მდიდარია თვით ფილმის გამომსახველობითი საშუალებებიც. გააზრერებული მონტაჟი, შთამაგონებელი პეიზაჟები, გ. პოპოვის მიერ ხალხურ საფუძველზე შექმნილი მუსიკა ამ რეალისტურ ფილმს მხატვრულ სრულყოფას ანიჭებენ. მიუხედავად ფინალის ტრაგიკული დასასრულისა, მაყურებელს მაინც თან მიჰყვება ოპტიმისტური სულისკვეთება. ჩაპაევისა და პეტკას ფიზიკურ სიკვდილს იდეური გამარჯვება სძლევს. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ისტორიული მნიშვნელობაც. მეორე მსოფლიო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომის დროს „ჩაპაევი“ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მეომართა გამამხნევებელ და მისაბაძ მაგალითად იქცა. მისი შთამაგონებელი ზეგავლენა დიდი იყო და ასევე დიდად რჩება ყველა სიმართლისა და თავისუფლებისმოყვარე ადამიანისათვის.

„ახალგაზრდა გვარდია“

ს. გერასიმოვის ორსერიანი ეპოპეა „ახალგაზრდა გვარდია“ (1948 წ.) სოციალისტური რეალიზმის სწორედ იმ საუკეთესო ტრადიციას აგრძელებს, ოცდაათიან წლებში რომ დამკვიდრდა ჩვენს კინოხელოვნებაში. სცენარის ავტორმა და რეჟისორმა გერასიმოვმა ა. ფადეევის ამავე სახელწოდების რომანში ამოიკითხა არა მხოლოდ დიდი სამამულო ომის პერიოდის კრასნოდონელი ახალგაზრდა ქალვაჟების უკვდავი გმირობა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის გმირული ახალგაზრდობის ძლევამოსილებაც. ფილმი რომანტიკული პათოსით აღერებულ გმირობის ჰიმნად იქცა. იგი აღიარებულია, როგორც სამამულო ომის თემაზე შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები.

ამ ფილმის წარმატების მიზეზი უმთავრესად მხატვრულ სიმართლეში მდგომარეობს. მისი რომანტიკული ყღერადობა ეს მხოლოდ ნიჭიერი მხატვრის ხელში მომარჯვებული გამად იდებელი მინაა და არა ილუზიებით შეპყრობილი შემოქმედის უნიადაგო აღმაფრენა. იმ ხანებში მართლაც ბევრი იყო ოლეგ კოშევოის, სერიოჟა ტიულენინის, ლიუბკა შევცოვას, ულიანა გრომოვასა და სხვა მათი მსგავსი ახალგაზრდა. სურათის ავტორებმა, ცხოვრების ღრმა შესწავლის საფუძველზე, მახვილი და დამახასიათებელი დეტალებით, ემოციური ძალით გააშუქეს საბჭოთა ახალგაზრდობის სამშობლოსათვის, პარტიისათვის თავდადების ისტორიული ფაქტი. აქ, რეჟისორთან ერთად, აღსანიშნავია ოპერატორ ვ. რაპოპორტის მხატვრული თვალით გადაღებული მთელი რიგი ეპიზოდები: ახალგაზრდა გვარდიელების ფიცის სცენა, გერმანელების შემოსვლა, დაკითხვისა და პარტიზანული ბრძოლების ეპიზოდები, მასიური სცენები და ბევრი სხვა. რეჟისორისა და ოპერატორის გამომსახველობითი ხერხების, კომპოზიტორ დ. შოსტაკოვიჩის ემოციური მუსიკის ფონზე რომანტიულ-რეალისტური მომხიბვლელობით გამოირჩევიან მსახიობებიც. როლებში ძირითადად სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტები მონაწილეობენ: ვ. ივანოვი (კოშევოი), ს. გურზო (ტიულენინი), ნ. მორდიუკოვა (გრომოვა), ს. ბონდარჩუკი (ვალკო), გ. მგელაძე (არუთინიანცი), ი. მაკაროვა (შევცოვა) და სხვები, რომლებმაც შეძლეს, შეენარჩუნებინათ ფილმის რომანტიკული პათოსი და ამავე დროს არ ყოფილიყვნენ მოკლებული ხასიათის სიღრმეს, ცხოვრებისეულ სიმართლეს.

კინოხელოვნების უდიდესი ძალა ისაა, რომ მაყურებელმა უკეთესად, ამაღლებულად და მხნედ იგრძნოს თავი ფილმის ნახვის შემდეგ. ყოველივე ამას კი სრული წარმატებით მიაღწიეს „ახალგაზრდა გვარდიის“ შემქმნელებმა.

გივი ბარამიძე

ბავშვებო, რედაქცია გირჩევთ, ვიდრე ამ ფილმებს ნახავდეთ, წაიკითხოთ დ. ფურმანოვის „ჩაპაევი“ და ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, შემდეგ კოლექტიურად ნახოთ ეს კინოსურათები. და აი, თქვენ უკვე მზად გაქვთ შესანიშნავი თემა რაზმის შეკრების ჩასატარებლად, როდესაც შეკრებას მოაწყობთ, მოგვწერეთ როგორ მოამზადეთ იგი, რა იყო ღირსშესანიშნავი, რა ორიგინალურისა და ახლის გაკეთება შეძლო თქვენმა პიონერულმა აქტივმა ამ შეკრებისათვის. ველით თქვენს წერილებს.



ეჯვეკის

„პიონერული თამაშები—ყველა პიონერული რაზმეულის პატაკია თავისი სპორტული მიღწევების შესახებ“—ამ ლოზუნგით ჩატარდა პირველი პიონერული სპორტული თამაშები 1962 წლის მაისში, როცა ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაცია თავისი დაბადების 40 წლისთავს ზეიმობდა.

და აი, 1964 წლის 5 აგვისტოს „არტეკში“ საზეიმოდ აღლერდა პიონერული საყვირები, რომლებმაც ხაზზე მოიხმო ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენი პიონერები. მეორე სპორტული თამაშების მონაწილეებს მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს საბჭოთა სპორტის ვეტერანებმა, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო რეკორდსმენებმა, ჩემპიონებმა... მისალმებების შემდეგ მოედანზე შემოიტანეს თამაშების ჩირაღდანი...

იწყება პატარების დიდი სპორტული ასპარეზობა...

საქართველოდან ამ თამაშებში 16 გუნდი მონაწილეობდა: ნორჩ სპორტსმენთაგან შემდგარი სოფლის — 6 და ქალაქის — 10 პიონერული რაზმეული.

საინტერესო და დაძაბული ბრძოლა გაიმართა მძლეოსნობაში. სოფლის გუნდებს შორის ოთხი დღის ასპარეზობის შემდეგ ოქროს მედლების მფლობელი გახდა გარდაბნის რაიონის გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატის ბიჭების გუნდი. მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის მძლეოსან გოგონათა გუნდი მესამე ადგილითა და ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდა.

გამარჯვებისადმი დიდი სწრაფვა იგრძნობოდა ქუთაისის 23-ე საშ. სკოლის ტანმოვარჯიშე ბიჭების ყოველ გამოსვლაში. მათი ვარჯიში, ყველა სპორტულ იარაღზე, მაყურებელთა ქებას იმსახურებდა. ქუთაისელმა ბიჭუნებმა მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.

კალათბურთსა და ფრენბურთში ჩვენი რესპუბლიკის გუნდების უმრავლესობა ფინალურ ჯგუფში მოხვდა. საპრიზო ადგილებისათვის შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა. ქალაქების პიონერული რაზმეულების კალათბურთელთა გუნდებს შორის, თბილისის 43-ე საშუალო სკოლის ბიჭებმა მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს. აი, რა გვიამბო ამის შესახებ გუნდის კაპიტანმა ვანო ლობჟანიძემ:

„ხუთ აგვისტოს, საღამოს ექვს საათზე, ჩავატარეთ პირველი შეხვედრა. ჩვენი მოწინააღმდეგე მოლდავეთის გუნდი იყო. ეს გუნდი არცთუ ისე ძლიერია, — ვფიქრობდით ჩვენ და, ასეთი გადაწყვეტილებისათვის კინაღამ დავისაჯეთ. ჩვენი თანატოლი მსაჯის, სანოვაიტის მეტისის სასტვენის ხმაზე მოედანზე გავედით. ტრადიციულად გავცვალეთ სამკერდე ნიშნები და დავიწყეთ პაექრობა. თავდაპირველად, ვერა და ვერ ავაწყეთ თამაში,—ვღელავდით. მაგრამ მერე თანდათან დავმშვიდდით და პირველი ტაიმი 16:6 მოვიგეთ. შესვენებაზე ჩვენმა მწვრთნელმა ბორის პოლსკიმ სასარგებლო რჩევა-დარიგება მოგვცა და შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ 18:16 დავამთავრეთ. ეს თამაში კი მოვიგეთ, მაგრამ მაინცა და მაინც არ გაგვხარებია. საქმე იმაში იყო, რომ ჯერ კიდევ ძნელი შეხვედრები გვქონდა დარჩენილი.

მაგონდება ჩვენი შეხვედრა უკრაინის გუნდთან; თამაშის დამთავრებამდე მხოლოდ ორი წუთი იყო დარჩენილი, ანგარიში კი 27:22 იყო უკრაინელ პიონერთა სასარგებლოდ. დაბნეულები ვიყავით და არ ვიცოდით რა გველონა. საჭირო გახდა თამაშში გარდატეხის შეტანა. და აი, კვლავ ჩვენმა მწვრთნელმა გვიხსნა; მან წუთშესვენება აიღო და, ჩვენ ვიგრძენით რას ნიშნავს მწვრთნელი: ძია ბორისმა დაგვამშვიდა, ყველა ჩვენგანს მოქმედების გეგმა დაუსახა და, როცა მოედანზე გავედით, ვძლიეთ მოწინააღმდეგეს —სამი ქულით წინ გავი-

ფოტოები ბ. პოლსკისა

ჭერით. ამ თამაშის მოგებით, ხუთი შესაძლებლობიდან ხუთი ქულა მოვაგროვეთ და ფინალში გავედით.

ფინალში პირველად რსფსრ-ს გუნდს შევხვდით. ჩვენი მოწინააღმდეგეები აშკარად გვჩაგრავდნენ სიმაღლეში, მაგრამ ჩვენც ჯიუტად ვუტევდით მათ ფარს. პირველი ტაიმის დასასრულს ჩვენი მოქიშპეები ექვსი ქულით გავიდნენ წინ. მეორე ტაიმში თამაში გავათანაბრეთ; შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ანგარიში ჩვენ მიგვყავდა—30:29. კიდევ 41 წამი და, ანგარიში კვლავ ჩვენს სასარგებლოდ გავზარდეთ—32:29. მაგრამ, აქ მოხდა ის. რასაც არც ერთი ჩვენგანი არ მოელოდა,—ჩვენმა ერთ-ერთმა მოთამაშემ ზედიზედ ორი უხეში შეცდომა დაუშვა და ანგარიში ახლა მათ სასარგებლოდ გაიზარდა: 33:32. ამ მატჩის წაგებამ ძალიან ,იმოქმედა ჩვენზე. ბევრი ჩვენგანი ცრემლს ვერ მალავდა... მაგრამ, სამაგიეროდ, ლატვიის გუნდთან შეხვედრაში ჩვენმა ბიჭებმა გამოამჟღავნეს თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმი და ეს პაექრობა ჩვენს სასარგებლოდ, 9 ქულის განსხვავებით დამთავრდა...

ფინალში ყველაზე ძნელი თამაში ლენინგრადის გუნდთან გვქონდა. შეხვედრის დამთავრებას 18 წამი აკლდა, ანგარიში კი საყაიმო იყო—28:28. ჩვენმა თანაგუნდელმა გალუსტოვმა გვიხსნა — ორი საჯარიმო ტყორცნა და, ჩვენს გუნდს გამარჯვება მოუტანა... ფინალში 3 ქულა მოვაგროვეთ და ვერცხლის მედლები დავისაკუთრეთ.

თბილისის 126-ე საშ. სკოლის კალათბურთელ გოგონათა გუნდმა მე-4 ადგილი დაიკავა. წულუკიძის რაონის სოფელ კუხის პიონერებმა სოფლის გუნდებს შორის მე-2 ადგილი დაიკავეს, ხოლო წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლის გოგონებმა—მე-4.

შეუპოვარი იყო ბრძოლა ფრენბურთშიც. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის გოგონების გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო გარდაბნის რაიონის სამგორის საშ. სკოლის ბიჭების გუნდმა —მე-4.

სპორტული

16 აგვისტო. დამთავრდა სპორტული პიონერული თამაშები. შედეგები კი ასეთია: სოფლის პიონერული რაზმეულების გუნდებს შორის, 20 საჯარიმო ქულით, პირველ ადგილზე რსფსრ-ს გუნდი გავიდა; 22 საჯარიმო ქულით მეორე ადგილზეა საქართველოს კოლექტივი.

ქალაქის პიონერულ რაზმეულებს შორის ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი, 41 საჯარიმო ქულით, წილად ხვდათ რსფსრ-ს პიონერებს. მეორე ადგილი, 50 საჯარიმო ქულით, დაიკავა უკრაინის სპორტულმა კოლექტივმა, ხოლო მესამე ადგილზე, 50,5 საჯარიმო ქულით, საქართველოს პიონერები გამოვიდნენ.

საერთო ჯამში საქართველოს პიონერებმა 17 ოქროს, 35 ვერცხლის და 13 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ანზორ ფიკლაური.

საკავშირო პიონერული თამაშების გახსნა.

ესტონეთისა და წულუკიძის რაიონის გუნდების ასპარეზობა.

მწვრთნელი ბ. პოლსკი თამაშების ჯილდოს გადასცემს თავის აღსაზრდელებს.

ოლიმპიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედმუნდ ნიზიერსკი

ნახატები ბ. ბალკასი

მარეკ პეგუსის არაჩვეულებრივი თავგადასავალი

წინა თავებიდან გახსოვთ ალბათ, რომ ჩვენმა გმირებმა მარეკ პეგუსის და იპოლიტ კვასის კვალს მიაგნეს. ბანდიტების დევნამ ისინი ქალაქის მიწისქვეშა კატაკომბებში მიიყვანა.

როგორ შეიპყრონ გოლიათი ძალის პატრონი ბოცმანი? ეშმაკი ქრიზოსტომ კაფანდარა?

დიდი ფიქრის შემდეგ მიღებულ იქნა თეოდორის გეგმა. თეოდორმა ზურგჩანთიდან კონსერვის ქილები ამოიღო, პიკოლოს გაუწოდა და უთხრა: ბოცმანს გაეკიდე და ზურგში დაუშინე. როცა ბოცმანი შემოტრიალდება, ჩვენსკენ გამოიქეცი. პიკოლომ დავალება შეასრულა. გააფთრებულმ ბოცმანი შუა დერეფანში დაგებულ მახეს—ზურგჩანთას წამოედო და ძირს გაიშხლართა. ბიჭებმა სეტყვასავით დაუშინეს მუშტები; თეოდორმა კი პისტოლეტი აართვა. ბოცმანს ხელ-ფეხი შეუკრეს და დაამწყვდიეს. ამის შემდეგ ქრიზოსტომ კაფანდარას დატყვევება უკვე ძნელი აღარ იყო. ბოლოს, ერთ-ერთ დერეფანში, შიმშილისაგან მისავათებული იპოლიტ კვასიც აღმოაჩინეს. მაგრამ მარეკი? სად და რატომ ჰყავდათ დამწყვდეული?! ეს მხოლოდ ქრიზოსტომ კაფანდარას შეეძლო სცოდნოდა. მაგრამ როგორ უნდა გამოეტეხათ? აი, სწორედ აქ გამოადგათ ვერაკოკოს აბებიანი წვენი, რომელიც ცოტა ხნის წინ ბოცმანს იპოლიტ კვასისათვის უნდოდა ძალით ეკმია.

ალბერტ მათერის ბანდის მოქმედების მიმოხილვა. —როგორ დაალევინეს ბარდის წვენი ქრიზოსტომ კაფანდარას და რა გამოიწვია ამან.

ბედი მარეკისა.

— ასე და ამგვარად, თქვენ დარწმუნებული ხართ, პან. იპოლიტ, — თქვა თეოდორმა, — რომ მარეკ პეგუსი შეიპყრეს იმათ, ვინც თქვენ დაგატყვევეს, ესე იგი ალბერტ მათერის ბანდამ?

— საეჭვო აქ არაფერია, ყველაფერი ნათელზე ნათელია. ახლა მე ვიცი ყველაფერი, გარდა იმისა, თუ სად იმყოფება მოტაცებული ბიჭი. შენ ალბათ ხვდები, რითი დაიწყო ყოველივე ეს!

— ამისი გამოცნობა ძნელი არ არის, — თქვა თეოდორმა. — მოპარული, განძეულობის ბანდის სამყოფელში გადასატანად ალბერტ მათერმა გამოიყენა ბიჭების სასკოლო ჩანთები. ჩანთები ორშაგფსკერიანი იყო. ერთი—ჩვეულებრივი, მეორე ფსკერი—ძვირფასეულობის საიდუმლო დასამალი. გარედან კი ჩვეულებრივ ჩანთებსა ჰგვანდნენ.

— ჭეშმარიტებაა, — განაგრძო იპოლიტ კვასმა, — ასე და ამგვარად, ეს თავისებური ტრანსპორტი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დაუბრკოლებლად მოქმედებდა. ბავშვებს, რომელთაც სასკოლო ჩანთებით გადაჰქონდათ განძეულობა, ბანდიტები „ჩოჩრებს“ ეძახდნენ. ერთ-ერთი ასეთი „ჩოჩორი“ იყო ქრიზოსტომ კაფანდარას ვაჟი. ასე ეძახიან, ვგონებ, იმ ბანდიტს.

გაგრძელება. იხ. პიონერი № 1—10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი, ამ ბანდიტს? — ჩაერთო საუბარში პიკოლო და გათოკილ კაფანდარაზე მიუთითა.

კვასმა თავი დააქნია.

— ყური მიგდე, როგორ განვითარდა შემდგომ ეს ამბავი. გომბეშო, მართალია, კოღოებს სანსლავს, მაგრამ თავის მხრივ გველის მსხვერპლი ხდება. ასეთი გველი ალბერტ მათერისათვის გამოდგა ვენჩესლავ უჩინარი — ერთ-ერთი ყველაზე ინტელიგენტი და ყველაზე საშიში ბოროტმოქმედი ვარშავაში. ერთხანს ალბერტ მათერის სიმყუდროვე დაარღვია ცნობებმა „ჩოჩრების“ რეგულარული ძარცვის შესახებ. ძარცვა სულ უფრო და უფრო ხშირდებოდა. ეს ვენჩესლავ უჩინარის ხრიკები იყო, რომელმაც ამოიცნო „ჩოჩრების“ საიდუმლოება და გადაწყვიტა ამით გამდიდრებულიყო. ეს ღონისძიება შემოსავლიანი იყო და შედარებით უხიფათოც. ალბერტ მათერი ცდილობდა ვენჩესლავ უჩინარის დაჭერას და ჯილდოც კი დააწესა ვენჩელავის შეპყრობისათვის. მაგრამ უჩინარი ვერაფრით ვერ დაიჭირეს.

ერთხელ ვენჩესლავ უჩინარი ჩაუსაფრდა ვაცის — ქრიზოსტომ კაფანდარას შვილს — და მხოლოდ მოხერხებულ წუთს უცდიდა, რომ ჩანთა წაერთმია მისთვის. ვაცომ ხიფათი იყნოსა და გაიქცა. ვონცელის სკვერამდე რომ მივიდა, იფიქრა — მდევარი მოვატყუეო და სულისმოსათქმელად სკამზე ჩამოჯდა. ამ სკამზე იჯდა სწორედ მარეკ პეგუსიც. მარეკს ზუსტად ვაცისნაირი ჩანთა ჰქონდა. მდევარი რომ შენიშნა, ვაცი წამოვარდა და გაიქცა, სიჩქარის გამო ჩანთა შეეშალა. შეცდომით მან მარეკის ჩანთა წაიღო, თავისი კი სკამზე დატოვა. მარეკმა რასაკვირველია, ვერაფერი ვერ შეამჩნია. მაგრამ ვენჩესლავ უჩინარს, რომელიც დაძაბული ადევნებდა თვალს ყოველივეს ბუჩქებიდან, არ გამოპარვია ჩანთის შეცვლა.

აი, სწორედ ამის გამო გამოიჩინა მან ასე დიდი ინტერესი მარეკისადმი. ბოროტმოქმედი გაეკიდა უკან, რომ ჩანთა წაერთმია. ქუჩაში ეს ვერ მოახერხა. მაშინ გადაწყვიტა მარეკს ასდევნებოდა სახლამდე, რომ გაეგო სად ცხოვრობდა იგი.

ღამით იგი შეიპარა პეგუსების სახლში, გააღო ჩანთის საიდუმლო განყოფილება და ამოიღო ძვირფასეულობა.

მეორე დღეს ქრიზოსტომ კაფანდარამ გამოარკვია რომ, ვაცის ჩანთა შეეცვალა. მარეკ პეგუსის ჩანთაში მან იპოვა დღიური, აქედან გაიგო რომელ სკოლაში სწავლობდა და რა ერქვა ბიჭუნას. მეორე დღეს სკოლასთან დაელოდა, შეცდომით წამოღებული ჩანთა დაუბრუნა და ვაცის ჩანთა წამოიღო.

წარმოიდგინეთ, რა ელდა ეცემოდა, როცა საიდუმლო განყოფილება გახსნა და დარწმუნდა ძვირფასეულობა იქ აღარ იყო. ასე არ არის, ბებერო? — მაძებარმა თვალი ჩაუკრა დაღვრემილ კაფანდარას, რომელიც იქვე იჯდა.

ქრიზოსტომ კაფანდარა ხმას არ იღებდა.

— არაფერს ამბობ, ენა ჩაგივარდა, იქნებ ძველ ცოდვებს იხსენებ. — პან იპოლიტმა, თოკი მოქაჩა, — არაფერია, ძველ ცოდვებზე ციხეში იფიქრებ, იქ ბევრი დრო გექნება...

— კირკიტი კაკალია, — შენიშნა თეოდორმა. — ერთი შეხედვით კი ბატკანსა გავს.

მაძებარმა სადღაც გვერდზე გაიხედა, თვალები გაუბრწყინდა, შუბლზე ხელი მიირტყა:

— სულ არ დამავიწყდა, ჩემო ბიჭუნი. ახლა კი ამოიდგამს ენას, ამღერდება, როგორც დაგიბარებია. რატომ არ გამახსენდა აქამდე!

მაძებარმა ბარდის წვნიან ქოთანს წამოავლო ხელი.

— რას აპირებთ? — ჰკითხა თეოდორმა.

— არამზადას წვენს მივართმევ, — ხრინწიანი ხმით თქვა კვასმა. — თუ ამ წვენში ნამდვილად ჩაყარეს ვერაკოკო, ამღერდება ჩვენი ჩიტუნა.

— აბა, იგემე, ჩემო მტრედო. მართალია, წვენი ცოტა გასქელდა, მაგრამ შენ ისეთი თავაზიანი ხარ, უარს არ მეტყვი.

ბანდიტი ფეხზე წამოხტა.

— აბა, აბა, ძმობილო, ნუ ჭირვეულობ, შეხედულება ვერ გაქვს მაინც და მაინც კარგი, ეს მშვენიერი წვენი უთუოდ მოგიხდება, — ლაპარაკობდა კვასი და თან წვენს კოვზით ურევდა.

— კუჭის წყლული მაქვს, — ამოიოხრა კაფანდარამ.

— ეს მე ნაკლებად მაღელვებს. წვენი უნდა შეხვრიპო, მაგრამ თუ ახლავე იტყვი, სად არის მარეკ პეგუსი, მაშინ...

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, — წაიჩურჩულა ბანდიტმა.

— აი, ხომ ხედავთ, უწვნოდ არაფერი გამოდის.

— დროის მოგებას ცდილობს, — შენიშნა თეოდორმა. — აჭამეთ, ჩქარა აჭამეთ!

— ჭამე! — კვასმა პირში ჩასჩარა კოვზი ბანდიტს.

— არ მინდა, — გასწია პირი ქრიზოსტომ კაფანდარამ.

— არ გინდა? რას იზამ, სხვა გზა არ არის. ეჰეი, ბავშვებო, დამიჭირეთ ქვაბი. ეს მუნჯი ყმაწვილი უნდა ავალაპარაკო. — კვასმა ხალათის საკინძე შეუხსნა ბანდიტს და თავაზიანად შეუხიცინა ყელში.

ქრიზოსტომ კაფანდარამ ჯერ ჩუმად ჩაიხითხითა, შემდეგ ყურისწამღები ხარხარი ატეხა და გველთევზასავით დაიგრიხა.



ბავშვები გაოცებულნი შეჰყურებდნენ მაძებარს, იგი კი აუღელვებლად უღიტინებდა ბანდიტს. ერთი წუთის შემდეგ ჰკითხა კაფანდარას, ახლა ხომ შეჭამ წვენსო. პასუხი რომ არ მიიღო, კვლავ შეუხიცინა.

— ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ მაგას ნუ დამალევინებთ! — ხმამაღლა დაიყვირა ბანდიტმა.

— დალევ?

— დავლევ.

— შეხვრიპე ჩქარა, თორემ?

ქრიზოსტომ კაფანდარამ ხელი ჩაავლო ქოთანს და ცივი, გასქელებული წვენის ყლაპვას შეუდგა. სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრისაგან ცახცახებდა, შუბლზე ხვითქი გადასდიოდა.

— ეს საშუალება ჩქარა იმოქმედებს ნეტავ? — იკითხა თეოდორმა.

— საკმაოდ ჩქარა, — უპასუხა მაძებარმა, — შედეგი ხუთი წუთის შემდეგ უნდა გამოიღოს. შეიძლება უფრო ადრეც.

ერთი წუთის შემდეგ ქრიზოსტომ კაფანდარა წამოჯდა და გაიღიმა. ფერმკრთალი სახე შეუფაკლდა, ნაოჭები თითქოს ისე აღარ ეტყობოდა. მოულოდნელად თვალის ჩაკვრა დაუწყო ბავშვებს და ბოლოს მაძებარს ბეჭებზე დაჰკრა ხელი.

— ვერაკოკო მოქმედებს, — წაიჩურჩულა თეოდორმა, ისე რომ ბანდიტისათვის თვალი არ მოუშორებია.

— რისი მეშინოდა, — ხითხითებდა და სახეს იღლიაში მალავდა კაფანდარა. — რისი მეშინოდა? რა, ჩვენ განა ერთმანეთს არ ვიცნობთ? — იგი წაიწია, რომ იპოლიტ კვასს მხრებზე მოხვეოდა.—აქ შინაურები ვართ. თქვენ ამბობთ, რომ აბებმა იმოქმედა. სრულიადაც არა. თქვენნა ფიქრობთ, რომ მე ყველაფერს დავფქვავ? ჰი, ჰი... თქვენ მე არ მიცნობთ. მე მხოლოდ გარეგნობა მაქვს ასეთი. ნერვები დასუსტებული მაქვს, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ გადამხდენია... ქვეყანაზე აღარ არის პატიოსნება. აბა, წარმოიდგინეთ, ქურდი პარავს ქურდს. არა, ასეთი რამ ჩვენს სპეციალობაში არა ყოფილა გაჩენის დღიდან.. არ ყოფილა, ვიდრე არ გამოგვეცხადა ეს ხულიგანი ვენჩესლავ უჩინარი. აბა, ეს რასა ჰგავს, რა მაგალითია ახალგაზრდობისათვის, როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი სპეციალობა, როცა ამორალობა შემოგვეპარა ჩვენს პროფესიონალთა რიგებში!

ქრიზოსტომ კაფანდარამ გული გადაუშალა იქ მყოფთ. თეოდორი და იპოლიტ კვასი შეშინდნენ, ვაითუ კაფანდარამ რატრატი დაიწყოს უკვე ცნობილ, ანდა უმნიშვნელო ამბებზე და მთავარი დაავიწყდესო. მაგრამ ეტყობა, ჩანთიდან ძვირფასეულობის მოპარვას ძლიერ ემოქმედნა კაფანდარაზე, რადგან მაშინვე ამაზე დაიწყო ლაპარაკი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვენჩესლავ უჩინარის მისამართით გაიგზავნა აურაცხელი წყევლა-კრულვა. კაფანდარა იმოწმებდა იპოლიტ კვასს, თეოდორს და ყველა დანარჩენ ბავშვს, ხომ ხედავთ, როგორი ჯავრი მაქვსო და თანაგრძნობას თხოულობდა მათგან.

— მერე რა უსიამოვნება შემხვდა ამის გამო! ჩანთა რომ შეცდომით გამოცვალეს, ამ ხულიგანს, ჩვენს შეფს, ალბერტ მათერს ჰგონია, რომ მე გავანიავე ძვირფასეულობა. იმ ღამეს სულ არ მძინებია, კუტკალიავ ჩემო. დილით სკოლაში მივედი და იმ ძაღლის ლეკვს, ე. ი. პატარა პეგუსს დაველოდე, გამოვართვი ჩანთა, ჩავიხედე შიგ, საიდუმლო ფსკერი მოვსინჯე და ჰოი, საშინელებავ! — სადღაა ძვირფასეულობა! ამ უეცარი ელდის გამო იატაკზე გავიშხლართე, ერთი საათი ვეგდე უგონოდ. ზარის რეკვამ გამომაფხიზლა. შეფმა კაცები მომიგზავნა. შიშისაგან ფეხები იატაკზე მიმეკრა, კბილებს ვაკაწკაწებდი, კანზე ხორკლი დამაყარა როგორც ბატს, რომელსაც თავის წაწყვეტას უპირებენ.

რა მოხდა ამის შემდეგ, კუტკალიავ ჩემო, სწორედ რომ არ მახსოვს — როგორც კი ალბერტ მათერს შევხედავდი, ისევ უგონოდ ვეცემოდი ძირს. აბა დათვალე, კუტკალიავ ჩემო, რამდენჯერ დავეცი იმ დღეს? ჯერ კიდევ დალურჯებული მაქვს ყველაფერი.

ბავშვებს სულაც არ ეცოდებოდათ ბანდიტი, მაგრამ კვასმა უთხრა მათ, რომ თუ არ შეიცოდებთ, კაფანდარა ვერ დაცხრება და ყველაფრის მოყოლას ვერ მოასწრებსო. ვერაკოკოს პრეპარატი ხომ მხოლოდ ორი საათის განმავლობაში მოქმედებს. მეტი რა ჩარა ჰქონდათ: ბავშვებმა ძალისძალად თანაუგრძნეს კაფანდარას.

ბავშვების ცდამ ამაოდ არ ჩაიარა, ბანდიტი დაწყნარდა და დინჯად განაგრძო თხრობა:

— ბოლოს შეფმა ბრძანა ავეყენებინეთ, ავტომანქანაში ჩავესვით და სკოლაში მივეყვანეთ. გზაში მითხრეს რა უნდა გამეკეთებინა. უნდა მომეტაცნა მარეკი და მეთქმევინებინა მისთვის რა უყო ძვირფასეულობას, სად გადამალა.

დიდხანს დამჭირდა ლოდინი. ბოლოს ორნი მოვიდნენ ველოსიპედებით. მაშინვე ვიცანი ლაწირაკი პეგუსი. ალბერტ მათერის რაზმიდან ვიღაცამ ჰკითხა, ეს და ეს ქუჩა სად არისო, და ვიდრე ბიჭი უხსნიდა საით უნდა წასულიყვნენ, ორი კაცი უკანიდან მიეპარა, თავზე საბანი გადააფარეს და ველოსიპედიდან ავტომანქანაში შეათრიეს. მანქანა დაიძრა. მერე შეფმა უბრძანა ბოცმანს, ველოსიპედი სადმე ვისლის ნაპირას დაეგდო, რომ ხალხს ეფიქრა, მარეკი ალბათ ვისლაში დაიხრჩოო. ჩვენ ყოველთვის ასე ვიქცევით, კუტკალიავ ჩემო.

— აი თურმე რატომ იყო გაღუნული ველოსიპედის მანები, — წაიდუდღუნა თეოდორმა,—ეტყობა, ბოცმანს დაეზარა ველოსიპედის ხელით ტარება და ზედ შეჯდა მარეკის ველოსიპედმა ვერ გაუძლო ორასკილოგრამიან სიმძიმეს. მანები გაიღუნა, საჭე მოიშალა და ბოცმანი ველოსიპედიანად გადავარდა.

— მართალი ხარ, კუტკალიავ ჩემო, ბოცმანი ბრაზით აღარ იყო. მე შევუხვიე მუხლი, რომელიც ტრამვაის ლიანდაგისათვის დაერტყა. რას ყვიროდა შეხვევის დროს! მისი ყვირილი ჩემი ბრალიც იყო. ხელები საოცრად მიკანკალებდა — მე ხომ ძალიან მგრძნობიარე ვარ. გვერდითა ოთახიდან იმ ლაწირაკი პეგუსის ღრიალი გამოდიოდა — ალბერტ მათერი პირადად აწარმოებდა მის დაკითხვას.

— არამზადა — წამოიყვირა იპოლიტ კვასმა, — ბავშვის ასე აბუჩად აგდება გაგონილა?! ამაზე პასუხს აგებ, ბანდიტო!

— ეტყობა, ბიჭი ისე შეშინებული იყო, რომ ხმას ვერ იღებდა, — დაუღალავად განაგრძობდა ქრიზოსტომ კაფანდარა, — მხოლოდ ყვიროდა და ტიროდა. ბოლოს და

ბოლოს ალბერტ მათერი დარწმუნდა, რომ მარტო ვერას გააწყობდა და მე დამიძახა. უნდა ითქვას, კუტკალიავ ჩემო, რომ ალბერტ მათერი ყოველთვის დიდათ აფასებდა ჩემს პედაგოგიურ მონაცემებს. როგორც პროფესიონალმა, ხელი მოვკიდე ამ საქმეს. ჩვენში დარჩეს, კუტკალიავ ჩემო და, ალბერტ მათერი საცოდავი დილეტანტია. დილეტანტია და ლოთი. მხოლოდ დიდი ფიზიკური ძალის გამო მოიპოვა მან უფლება ჩვენზე. მე კი, რომელიც ბუნებამ დამაჯილდოვა ექვსი უდიდესი ტალანტით — მიმიკის, პედაგოგიური, ქორეოგრაფიული, გეოლოგიური. ასტროფიზიკური და ქურდბაცაცობის ტალანტით, — მე, შებოჭილი არწივი და დაუფასებელი გენიოსი, იძულებული ვიყავი ვყოფილიყავი მისი ხელწამსაკრავი და ძაღლივით მერბინა მის ყოველ დაძახილზე. ასე და ამგვარად, მე მასთან გავჩნდი. მთლად დალურჯებული მარეკი შიშისაგან აღარ იყო. განა ეს კვალიფიციური მუშაობის შედეგია?

— ასე არ შეიძლება, შეფო,—ვუთხარი მე,—ეს თქვენ გავნებთ; ხომ ხედავთ, როგორ გადაგდით ხვითქი და ქლოშინებთ კიდეც. პროფესიონალურად, პედაგოგიურად უნდა მივუდგეთ საქმეს. უნდა ვიხმაროთ ცოტაოდენი მიმიკაც და ქორეოგრაფიაც...

ჩემი პრინციპის მიხედვით, ბუნებრივია, ამ ახალგაზრდა მოქალაქეს ჯერ ჯიბეები გავუჩხრიკე და, სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი საგნების გარდა, დღიური აღმოვუჩინე. ჭეშმარიტად, კუტკალიავ ჩემო, ვიპოვე დღიური, რომელშიაც ეს მოქალაქე წერდა, რაც გადახდენოდა თავს. — ქრიზოსტომ კაფანდარა გამხიარულდა და გადაიხარხარა. — ამ დღიურიდან ყველაფერი გავიგე. — ბანდიტმა კვლავ გადაიხარხარა. — დაკითხვა თითქმის აღარ იყო საჭირო, კუტკალიავ ჩემო, მხოლოდ ბიჭის ჯიბეებში უნდა ჩაგეხედა კაცს.

როცა ამ დღიურიდან შევიტყეთ, რომ პეგუსების ბინა ღამით გაქურდეს, ნათელი გახდა — საქმეში ვენჩესლავ უჩინარის ჭუჭყიანი ხელი ერია. დაუყოვნებლივ მივიღეთ გადაწყვეტილება — მოგვეტაცნა ვენჩესლავ უჩინარი, ანუ, როგორც შეფმა თქვა, გაგვებედნიერებინა კაცობრიობა: ერთხელ და სამუდამოდ მოგვეშორებინა ეს ნაგავი.

სისხლის სამართლის სამყაროს ამ ნაძირალაზე დიდი ხანია შეკრებილი აქვს ყოველგვარი ცნობები, საჭირო იყო მხოლოდ ცოტაოდენი დაზუსტება. შეფი ფულს არა ზოგავდა. მეორე დღესვე გავიგეთ, რომ ვენჩესლავ უჩინარს შავი წვერი ჰქონდა მოშვებული და საღამოობით რესტორან „არიზონაში“ ატარებდა დროს.

რესტორანში თვალთვალი დავუწყეთ შავწვეროსანს,— რომელიც კუთხეში სარკის წინ შეექცეოდა ყავას. დიახ, კუტკალიავ ჩემო, ჰა და ჰა, თითქმის ნაება ჩიტი მახეში. ჩვენ მოთმინებით ველოდით, მანამ გამოვიდოდა გარეთ, რომ თავაზიანად აგვეყარა იარაღი და გაგვეტაცნა. ასეთ საქმეში, კუტკალიავ ჩემო, ყოველთვის თავაზიანი უნდა იყო. ჩვენ ხომ ხულიგნები არა ვართ, ჩვენ ჩვენი საქმის პატიოსანი სპეციალისტები ვართ და აურზაურის ატეხვა არ გვეკადრება. ხომ გითხარით, მოთმინებით ველოდით-მეთქი, ვიდრე შავწვეროსანი რესტორნიდან გამოვიდოდა. ათი საათი არ იქნებოდა, იგი დარბაზიდან რომ გამოვიდა. ჩვენ დაზვერვის მეთაურის, ანტოს ტურპისის წინამძღოლობით ფეხდაფეხ მივყევით. ვენჩესლავ უჩინარი დიდხანს იდგა ჰოლში, ეტყობა გაპარვა უნდოდა. ბოლოს საგარდერობო ოთახის კართან მივიდა და

ბ. ბელინსკი: ყოველი კეთილშობილი პიროვნება ღრმად გრძნობს თავის სისხლხორცეულ ნათესაობას, თავის სისხლხორცეულ კავშირს სამშობლოსთან.

ნ. დობროლიუბოვი: ნამდვილი პატრიოტიზმი ყველა პირად ურთიერთობაზე და ინტერესზე მაღლა დგას და უმჯიდროეს კავშირშია კაცობრიობის სიყვარულთან.

კ. კლაუზევიცი: უსამშობლო ადამიანის სიცოცხლე — ქსოვილიდან ამოგლეჯილი, ყოვლად უვარგისი ძაფია.

ლუკიანე: მხდალსაც კი მამაცად ხდის სიტყვა „სამშობლო“.

ი. პავლოვი: მხოლოდ ქარაფშუტა ადამიანები არ განიცდიან სამშობლოს სიყვარულის საუცხოო და ამამაღლებელ გრძნობას.

ჟან-ჟაკ რუსო: ყველაზე დიდი გმირობანი ჩადენილი იყო სამშობლოსადმი სიყვარულით.

უზბეკური თქმა: მეგობარს განშორებული ტირის შვიდ წელს, სამშობლოს განშორებული — მთელ თავის სიცოცხლეში.

დ. ფონვიზინი: თუ გსურს, სამარადისოდ იქნე პატიოსანი ადამიანი, მთელი შენი სიცოცხლე უნდა შესწირო სამშობლოს.

ციცერონი: ჩვენთვის ძვირფასნი არიან მშობლები, ძვირფასნი არიან ბავშვები, მახლობლები, ნათესავები, მაგრამ ყველა წარმოდგენა რაიმესადმი სიყვარულის შესახებ შეერთებულია ერთ სიტყვაში — „სამშობლო“.

გამღები აამუშავა. ამ დროს ანტოსმა ნიშანი მოგვცა. ამ ტიპს გარსშემოვერტყით და მოვიტაცეთ. როგორ გავოცდით, როცა ავტომანქანაში ვენჩესლავ უჩინარის ნაცვლად, ცნობილი მაძებარი იპოლიტ კვასი შეგვრჩა ხელში.

აუწერელი იყო შეფის მრისხანება. მე მაგრად მომხვდა ამის გამო. ოჰ, ყოველთვის ყველაფერზე მე უნდა ვაგო პასუხი. ამიტომაა ვარ ასე, ხომ ხედავთ, რას ვგავარ, — საცოდავად ოხრავდა ბანდიტი, — ერთი მითხარი, კუტკალიავ ჩემო, განა ეს სამართალია, მე ექვსი ტალანტით დაჯილდოებულ კაცს ასეთი შესახედაობა უნდა მქონდეს?..

— მე მგონი ამისაგან ამის მეტს ვერაფერს ვერ გავიგებთ მარეკის შესახებ, — შენიშნა თეოდორმა.

— რას იზამ, — ამოიოხრა მაძებარმა კვასმა, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს კაფანდარას. —ვერაკოკო ძვირფასი საშუალებაა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მხოლოდ სამედიცინო პრეპარატია, ჩემო ბიჭუნი, და არა — გრძნეული წამალი. ვერაკოკოს მიღების შემდეგ, ადამიანი ლაპარაკის გუნებაზე დგება, გულახდილად

გაფრინდაშვილს,—ამბობს ვახტანგ ქარსელაძე—სწორედ ამიტომ გამახარა მისმა ყაიმმა ნონასთან. ეს დიდი სტიმულია.

აი, პარტიაც:

ალექსანდრია—გაფრინდაშვილი:

1. e4 c5 2. Sf3 e6 3. d4 cd 4. S: d4 Sf6 5. Sc3 d6 6. Kg5 Ke7. 7. f4 a6.

სიცილიური დაცვის შევენინგენის სისტემაში, რომელიც ნონამ აირჩია, შავები მტკიცე, მაგრამ პასიურ პოზიციას ღებულობენ. ახლა თეორია გვირჩევს 7... Sc6, რათა თეთრებმა აქტიურად ვეღარ განალაგონ ფიგურები.

8. Lf3 Lc7 9. 0-0-0 Sbd7 10. g4 h6 11. K:f6 gf 12. Kh3.

ეს სვლა მაშინაა კარგი, თუ შესაძლებელია g4—g5, რომ e6-ზე კომბინაციური მუქარები იყოს. ამ შემთხვევაში კი ეს სვლა დროის დაკარგვაა. უკეთესი ჩანს 12. Ke2, მეფის ფრთაზე პაიკებით იერიშის მომზადებით. მსოფლიო ჩემპიონი ასწრებს ძალთა მობილიზებას და თამაშიც თანაბარი გამოდის.

12...Sb6 13. f5 e5 14. Se2 Kd7 15. Sd5 S:d5 16. e:d5 Kc6 17. ed3 0-0-0 18. Sc3 Sgb8 19. ehd1 ec8 20. Kf1 ehd8 21. e1d2 Kf8 22. Sgb1 Lb6 23. Lf2 c:f2 24. e:f2 ec7 და, მსოფლიო ჩემპიონის წინადადებით, მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

სოხუმელებს სურდათ ნონასთან ერთად ნანასაც ესახელებინა თავი. ისინი დაუფარავად ქომაგობდნენ თავიანთ პატარა ფავორიტს. ქუჩაში თუ დარბაზში, სასტუმროში თუ რესტორან „ამრაში“. სადაც საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი სადილობდნენ, გოგონას ღიმილით ხვდებოდნენ, გამარჯვებას უსურვებდნენ. ნანა გრძნობდა ამ ყურადღებას და ყოველ პარტიაში მაქსიმუმის მიღწევას ცდილობდა.

ნანას ტურნირზე დედა ახლდა. მოჭადრაკეები ხუმრობდნენ, რომ ზოგჯერ ნანას დედაც ეხმარებაო, იგი მისი „სეკუნდანტიაო“.

შევამჩნიე: ნანას დედა დარბაზში რიგითი მაყურებლის პოზაში ზის და სადემონსტრაციო დაფას თვალს არ აცილებს, არც არავის ელაპარაკება. ვინ იცის, რა ტრიალებს ამ დროს, მშობლის გულში. გამახსენდა ნონას ღედა, რომელიც მოსკოვში, მსოფლიო პირველობაზე მატჩის დროს, თავს დასტრიალებდა და ამხნევებდა თავის ქალიშვილს.

— დაუკვირდი,—მითხრა ერთხელ ტურნირის მთავარმა მსაჯმა ლილი წეროძემ,— როცა ნანას დედა დარბაზიდან გადის, ეს იმას ნიშნავს, რომ მის შვილს კარგი პოზიცია აქვს,— ნამდვილი „ბარომეტრია“.

— არცაა გასაკვირი!—ჩაურთო მსაჯმა მარინე ჩომახიძემ—ამ დროს დედები სიხარულისაგან ადგილს ვერ პოულობენ...

ნანამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებზე. ნიჭიერ გოგონას კარგი მომავალი უწინასწარმეტყველეს.

— ჩემი ოცნებაა — გავამართლო გულშემატკივართა იმედები, —ამბობს ნანა.

გვჯერა, რომ მისი ოცნება ფრთას შეისხამს!

თენგიზ გიორგაძე.

კრაზანა

კრაზანა მრავალწლიანი მცენარეა. მას ქართლში „ტრაზანას“ ეძახიან, ხევსურეთში — „უყმურის ბალახს“, იმერეთში — „თავცეცხლას“, — გურიაში „ცოცხობე“ შეურქმევიათ... კრაზანა ხარობს ბორცვებზე, მდელოზე, ბუჩქნარ-ჯაგნარებში. მას მედიცინაში ჭრილობებისა და რევმატიზმის სამკურნალოდ იყენებენ. შეიცავს ეთეროვან ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ასკორბინის სიმჟავეს... მისგან მაგარ სასმელებსაც ამზადებენ.

ანგელოზა

ვთქვათ, ექსკურსიაზე ან ლაშქრობაში ხარ. აგტკივდა კბილი. ახლომახლო საექიმო პუნქტი არ არის... რა უნდა ჰქნა?! თუ ფლორას კარგად იცნობ — კბილის ტკივილსაც უშველი. როგორ?! — აი, როგორ: მოძებნე ანგელოზა, მოსრისე მისი ფესვები და გამონაწური მტკივან კბილში ჩაიწვეთე. ტკივილი მყისვე დაგიამდება.

ანგელოზა მრავალწლიანი მცენარეა, ხარობს წყაროებთან. მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე; იგი ეკუთვნის ქოლგოსანთა ოჯახს. ამ ოჯახს ეკუთვნიან აგრეთვე: ქინძი, კამა. სტაფილო, ოხრახუში, ქარქვეტა, ჭალმაფხალი და სხვ.

ანა ნემსაძე

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — დიმიტრი ზარაფიშვილისა.

რედაქტორი **ბაბულია შელია**

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, როსტომ ელანიძე, იაგო ვარდოსანიძე, რევაზ ინანიშვილი, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედ.), **გიორგი შატბერაშვილი.**

ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76 საერთო—5-07-43

„ПИОНЕРИ“. На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული“. უე 12155 ტირ. 33.000. პირ. ფურ. რაოდ. 4½, ფიზ. ფურ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 17/X-64 წ. სტამბის შეკვ. 2480. გამომც. შეკვ. 703. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

ბაწარი

ალბათ ბაწარი და რკინის რგოლი. ბაწარი ბოლოებთან გასკვნი, რგოლში გაუყარე და ცერა თითებით გაჭიმე (ნახ. 1).

ახლა კი, ისე უნდა გამოაძრო რგოლი, რომ ბაწარი ცერებიდან არ წამოიძრო. ეს, ერთი შეხედვით. თითქოს შეუძლებელია. მაგ-რამ, აი...

შიგნითა ბაწარი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითსა და შუა თითს შორის გადაიტანე (ნახ. 2), შემდეგ კი ცერა თითს მარჯვენა-დან მარცხნივ, ანუ საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, ერთჯერ შემოახვიე (ნახ. 3). ამის მერე, რგოლი იმავე ხელთან, ბაწრის ბოლომდე მიიტანე და ქვედა ბაწარი ცერა თითს მარჯვნივ მარცხნივ ერთხელ კიდევ შემოახვიე (ნახ. 4).

გაიკეთე ხომ ყველაფერი ზუსტად... ახლა, საჩვენებელი თითი გამოაძრე მარყუჟიდან (ნახ. 5) და... რგოლი თავისთავად ჩამოვარდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ბიბლიო 76157

ადექი!

იმღერეთ!

ჯადოს გამოინერა

ჟურნალი

ეროვნული

1965

წიგნიერ

სასურველია
ჟურნალი
გამოიწეროთ
მთელი წლით.

გამოდა 12 ნომერი.
თორმეტი ნომრის ღირებულება
2 მანეთი და 40 კაპიკია.